ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

თეკლა გაბუნია

იარაღის ლეგალიზების პოლიტიკა: საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველო

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების
ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სანდრო ტაბატაძე
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
მოწვეული ლექტორი

თბილისი
2023

ანოტაცია

საბაკალავრო ნაშრომი იკვლევს იარაღის ლეგალიზების პოლიტიკას მსოფლიოში. ნაშრომის მიზანია გამოავლინოს ტენდენცია იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის საკითხში, რისთვისაც გაანალიზებულ იქნა ის ძირითადი ფაქტორები და კრიტერიუმები, რომლებიც განაპირობებენ მსგავსება-განსხვავებებს იარაღის ლეგალიზების პოლიტიკაში. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ სიღრმისეული ინტერვიუები, ასევე საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის და დოკუმენტების ანალიზის მეთოდი. კვლევა ცდილობს, პოლიტიკური მინიმალისტური სახელმწიფოს მოდელის ჩარჩოს დახმარებით დაამტკიცოს დაშვება, რომ იარაღის ლეგალიზების მსოფლიო გამოცდილება მრავალფეროვანია, რომელთა განსხვავებაც განპირობებულია ქვეყანათა პოლიტიკური რეჟიმების ხასიათით. შესაბამისად, ნაშრომი, უმეტესწილად, ფოკუსირებულია, სახელმწიფოთა რეჟიმებისა და იარაღის ლეგალიზების პოლიტიკას შორის კავშირების შესწავლაზე. ნაშრომი არის სიახლე იმდენად, რამდენადაც მოცემული საკითხის გარშემო ქართულ და მსოფლიო რეალობაში არ არსებობს საკმარისი კვლევა და აკადემიური წყაროები. აღნიშნული საბაკალავრო ნაშრომი არის მცდელობა, გარკვეული სიახლე შეიტანოს და ზოგადი ცოდნით გაამდიდროს არსებული აკადემიური სფერო.

საკვანძო სიტყვები: იარაღის ლეგალიზება, მინიმალისტური სახელმწიფოს მოდელი, საქართველო, ნეოლიბერალიზმი, ლიბერალიზმი, ავტოკრატია, თავისუფლება, პოლიტიკური რეჟიმები.

სარჩევი

შესავალი.....4

თავი I. იარაღის ლეგალიზება: ძირითადი თეორიები.....9

1.1. იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის ლიბერალიზაციის ამხსნელი თეორიები.....9

1.2. იარაღის ლეგალიზების დეკრიმინალიზაციის პოლიტიკა: ძირითადი მიდგომები.11

1.3 იარაღის ლეგალიზების კრიმინალიზაციის პოლიტიკა: არსებული მიდგომები 18

თავი II: იარაღის ლეგალიზების პოლიტიკა და მისი ტოპოლოგია: საერთაშორისო პრაქტიკა.....22

2.1. იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის მსოფლიო გამოცდილება.....22

2.2. თავისუფალი სახელმწიფოები და იარაღის დეკრიმინალიზაცია.....**26**

2.3 ნახევრად თავისუფალი/ არათავისუფალი სახელმწიფოები და იარაღის ლეგალიზების პოლიტიკა.....29

თავი III. იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის შეფასება საქართველოში 32

დასკვნა 36

გამოყენებული ლიტერატურა: 39

დანართი N1 44

დანართი N2 44

შესავალი

გასული საუკუნის ორმა მსოფლიო ომმა თავისი გამანადგურებელი შედეგებითა და გამოცდილებით აჩვენა, რომ თანამედროვე ომებში გამარჯვებული არ არსებობს და საჭიროა ისეთი ორგანიზაციებისა და სამთავრობოთაშორისო კავშირების დამყარება, რომლებიც მშვიდობის მშენებლობაში მიიღებენ მონაწილეობას (Dedman, 2010). თანამედროვე მსოფლიოში ასეთებია- გაერო, იუნისეფი, ევროკავშირი და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ თანამედროვე სამყარო არც ისე შორსაა მსოფლიო მასშტაბის სამხედრო კონფლიქტისაგან და ქვეყნები ინდივიდუალური შიდაპოლიტიკური ცვლილებებით ცდილობენ მიიღონ ყველა შესაძლო ზომა იმისათვის, რომ საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოება უზრუნველყონ (Shandilya, 2022) .

სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთვალდებულებები მუდმივი განხილვის საგანია, რომელიც განსხვავებული იდეოლოგიისა და პოლიტიკის მქონე ქვეყნებში სხვადასხვანაირად ინტერპრეტირდება (Spiro, 1997). მიუხედავად ქვეყნის ღირებულებებისა და კანონმდებლობის ხასიათისა ევროპული კონვენციის მიხედვით ყოველ მათგანს პასუხისმგებლობები და მოვალეობები მოქალაქეების წინაშე აქვს აღებული, რომელთა განხორციელების მექანიზმები, რასაკვირველია, განსხვავდება. სახელმწიფოს შექმნის დღიდან თანამედროვეობამდე სახელმწიფოს მოწყობისა და ფუნქციონირების მექანიზმის ავ-კარგიანობა მუდმივი დავის საგანია და, განსაკუთრებით, გლობალიზაციის ეპოქაში, რომელშიც განუსაზღვრელი როლი ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკუთვნის (Lebovic, 2020). ეს უკანასკნელი ხშირად დადანაშაულებულია იმაშიც, რომ დანარჩენ მსოფლიოში საკუთარი იდეოლოგიისა თუ ღირებულებების გავრცელებას და ტრანსფერს ცდილობს. აღსანიშნავია, რომ აშშ საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვის საუკეთესო ფორმად იარაღის ლეგალიზებას მიიჩნევს იმდენად, რამდენადაც ამით მოქალაქეებს აძლევს უფლებას, იმ შემთხვევაში თუკი სახელმწიფო ვერ შეძლებს, მათ თავად იზრუნონ საკუთარ უსაფრთხოებაზე (აშშ-ს კონსტიტუციის მეორე შესწორება, 1791). შესაბამისად, ჩემი კვლევისათვის, რომელიც ეხება იარაღის ლეგალიზების პოლიტიკას, ამერიკის შეერთებული შტატები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც მეტად **აქტუალურს** ხდის ჩემს საკვლევ თემას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის ლიბერალიზაციის საკითხმა აქტუალურობა შეიძინა პარტია „გირჩის“ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენის შემდგომ, მაშასადამე, მოცემული საკითხი ქართულ რეალობაში **სიახლეს** წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ პარტია „გირჩი“ 2020 წელს გაიყო და დაფუძნდა ორი პარტია- „გირჩი“ და „გირჩი- მეტი თავისუფლება“. ეს უკანასკნელი პარტია უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ზემოაღნიშნულ საკითხს (ხვიჩია, 2023), რომელთა ძირითად ელექტორატსაც ახალგაზრდა თაობა წარმოადგენს, შესაბამისად აღნიშნული პარტია იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის ლიბერალიზაციას არ უკარგავს აქტუალობას.

მიუხედავად იმისა, რომ იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის მიმართ მსოფლიო მასშტაბით ინტერესი არსებობს და აღნიშნული საკითხის ირგვლივ არაერთი კვლევა ჩატარებულა (Espasito, 2014; Hurka, 2017; Deepanshu, 2022), ქართულ სამეცნიერო რეალობაში იარაღის ლეგალიზების თემასთან დაკავშირებით არსებულ შედარებით ანალიტიკაში გარკვეული სიცარიელეები შეიმჩნევა.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, კვლევის **მიზანია** იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის თავისებურებების შესწავლა თანამედროვე საქართველოში და ამ მიმართულებით საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა. ამდენად, **კვლევის ამოცანებია** 1. ქართული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს შესწავლა; 2. პირველადი და მეორეული ინფორმაციის მოძიება იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის საკითხთან დაკავშირებით; 3. კვლევის პროცესში მიღებული შედეგების გაანალიზება და დასკვნის გაკეთება; 4. არასამთავრობო ორგანიზაცია - „ფრიდომ ჰაუსის“ მიერ დასახელებული თავისუფალი და არათავისუფალი ქვეყნების შედარებითი ანალიზი; 5. ძირითადი მიგნებების ჩამოყალიბება იარაღის დეკრიმინალიზაცია/კრიმინალიზაციის თემასთან დაკავშირებით. მოცემული ნაშრომის **ობიექტს** წარმოადგენს იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის თანამედროვე საერთაშორისო და საქართველოს პრაქტიკა და მათი გამომწვევი ფაქტორები.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული ნაშრომის **საკვლევი კითხვები** შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: 1. რა თავისებურებებით ხასიათდება იარაღის ლეგალიზება თანამედროვე საქართველოში?; 2. რა განაპირობებს იარაღის

ლეგალიზების პოლიტიკის სხვადასხვაგვარ პრაქტიკას? შესაბამისად, ჩემს კვლევაში წარმოდგენილია ორი **დაშვება:**

- თანამედროვე საქართველოში იარაღის ლეგალიზების პოლიტიკა მეტი ლიბერალურობითა და ნაკლები რეგულირებით ხასიათდება.
- მსოფლიოს ქვეყნებში არსებული იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის განსხვავებული ხასიათი განპირობებულია ქვეყანათა პოლიტიკური რეჟიმების ხასიათით.

რაც შეეხება ცვლადების **ოპერაციონალიზაციასა** და **კონცეპტუალიზაციას**, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია განვმარტოთ იარაღის ლეგალიზების პოლიტიკა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მიხედვით ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებად ითვლება, რომლის ხელყოფაც არც ერთ ხელისუფლებას არ შეუძლია. ხოლო იარაღის ლეგალიზების ცნებაში იარაღის შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება იგულისხმება (The Constitution of the United States, 1791). რაც შეეხება ლიბერალურობას, აღნიშნულში არასწორხაზოვანი, ნაკლებად მკაცრი, შემწყნარებლური ხასიათის პოლიტიკა იგულისხმება (The Britannica Dictionary). პოლიტიკური რეჟიმები კი წარმოადგენს წესთა წყებას, ინსტიტუციებს, პრაქტიკებსა და ნორმებს, რომლებსაც მმართველი პოლიტიკური ავტორიტეტები და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მყოფი პირები იყენებენ, სპეციფიკურ იურისდიქციაზე დაყრდნობით. სწორედ პოლიტიკური რეჟიმები განსაზღვრავენ ფორმალურ და არაფორმალურ პროცესებს ქვეყნის შიგნით და გარეთ (ჰეივუდი, 2007).

იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის კვლევის **თეორიულ ჩარჩოს** წარმოადგენს მინიმალისტური სახელმწიფოს მოდელის ჩარჩო, რომლის საფუძველსაც ჯონ ლოკის სოციალური კონტრაქტის თეორია წარმოადგენს. აღნიშნული თეორიის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს ეკისრება მინიმალური როლი და, ამასთანავე, მისი პრეროგატივაა მოქალაქეებისათვის თავისუფლების მაქსიმალური ნიადაგის შექმნა (ლოკი, 1689), რითიც აღნიშნული ლიბერალიზმის, კერძოდ კი, ნეოლიბერალიზმის იდეალურ მოდელს წარმოადგენს. აღნიშნული თეორიის ერთ-ერთი ღირსება არის ის, რომ სახელმწიფო წარმოდგენილია, როგორც ე.წ. „გუშაგი“, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის შიდა თუ გარე წესრიგსა და უსაფრთხოებას, ქმნის იურიდიულ ჩარჩოებს

იმისათვის, რომ კონკრეტულ მოქალაქეთა შორის გაფორმებული შეთანხმებები განხორციელდეს.

ჯონ ლოკის თეორიის დამტკიცებას ცდილობს ასევე რობერტ ნოზიკი, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო გარდაუვალი აუცილებლობა იყო ბუნებითი მდგომარეობის დროს, თუმცა, დღესდღეობით, მის მინიმალისტურ ჩარევას ემხრობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და, მეტიც, მისი არარსებობის შემთხვევაში დადებით მხარეებსაც კი განიხილავს (Nozick, 1974). აღსანიშნავია, ასევე დევიდ ფრიდმანის მიერ დახასიათებული თავისუფალ ბაზარზე დაფუძნებული სახელმწიფო, სადაც ამ უკანასკნელის ინტერვენცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მინიმუმამდე არის დაყვანილი იმდენად, რამდენადაც ბაზარს აქვს საკუთარი თავის რეგულირების უნარი, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია ადამიანის ფუნდამენტური უფლებანი დაიცვას (Friedman, 1973). აღსანიშნავია, რომ ზემოთჩამოთვლილი თეორეტიკოსებისა და მოაზროვნეების მიერ ჩამოყალიბებული მინიმალისტური სახელმწიფოს თეორია და კონცეფცია მეტად დამეხმარა მსოფლიოში არსებული იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის განსხვავებული ხასიათის ახსნასა და მის გაანალიზებაში.

მოცემული ნაშრომი დაფუძნებულია **თვისებრივი კვლევის** მეთოდზე, სადაც მისი მოქნილობიდან გამომდინარე, მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ექსპერტთან ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში უფრო სიღრმისეულად იქნა შესწავლილი და გაანალიზებული. კვლევა ეყრდნობა **ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუს** მეთოდს, რომლის დახმარებითაც წინასწარაა საკითხები განსაზღვრული, ამასთანავე, შესაძლებლობა მქონდა, რესპონდენტის ქცევიდან და პასუხებიდან გამომდინარე, დამესვა შესაბამისი შეკითხვები. კვლევის პროცესში ინტერვიუ ჩაუტარდა ხუთ ადამიანს, რომლებიც დარგის სპეციალისტებსა და გათვითცნობიერებულ პირებს წარმოადგენენ. კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად, პირველ ეტაპზე ინტერვიუ ჩაუტარდა პარტია „გირჩის“ წევრებს, ხოლო მეორე ეტაპზე- ექსპერტს. შესაბამისად, კვლევისათვის გამოყენებულია ინტერვიუს ორი გზამკვლევი (დანართი N1 და N2). ნაშრომში, აგრეთვე, გაანალიზებული და შესწავლილია როგორც პირველადი, ასევე მეორეული წყაროები. გამოყენებული და გაანალიზებულია, ასევე, სხვადასხვა სტატია, ნაშრომი, კანონპროექტი, რომლებიც, ძირითადად, გამოქვეყნებულია ისეთ

პოპულარულ საიტებზე და პლატფორმებზე, როგორებიცაა: ResearchGate, Google Scholar, ODA, Freedom house.

აღსანიშნავია, რომ ნაშრომის მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, კვლევა ჩატარდა არაალბათურ მიზნობრივ **შერჩევაზე** დაყრდნობით. რესპოდენტთა ვინაობა წინასწარ არის ცნობილი და ისინი იქნენ შერჩეულნი მიზნობრივად. კვლევის პროცესში მოხდა პარტია „გირჩის“ 4 წევრის და 1 ექსპერტის შერჩევა, რომლებიც თავისმხრივ, არიან პოლიტიკის მეცნიერების წარმომადგენლები, იურისტიები და დარგის სპეციალისტები. აღნიშნული ინტერვიუ ჩატარდა პირისპირ და სატელეფონო ზარის მეშვეობით 2023 წლის აპრილი-ივნისის პერიოდში. აღსანიშნავია, რომ კვლევა ჩატარდა ეთიკის დაცვით, რესპონდენტები წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი აუდიოჩანაწერის აუცილებლობასთან დაკავშირებით და ტექსტში დაფარულია ყველა რესპონდენტის ვინაობა.

პირველ თავში განხილულია ის ძირითადი **ლიტერატურის მიმოხილვა,** რომელიც საკვლევი თემის ირგვლივ არსებობს. პირველ რიგში, აღსანიშნავია ჯონ ლოკის ნაშრომი „ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ“, რომელიც დამეხმარა იდეოლოგიური კუთხით გამეანალიზებინა საკვლევი თემა. აღსანიშნავია ასევე რობერტ დალის ნაშრომი: „ ვინ მართავს? დემოკრატია და ძალაუფლება ამერიკულ ქალაქებში“, რომელიც დამეხმარა სახელმწიფოსა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების გაგებაში. ლუიჯი ესპასიტოს (2014) ნაშრომი „Beyond Gun Control: Examining Neoliberalism, Pro-gun Politics and Gun Violence in the United States“, რომელიც აშშ-ს იდეოლოგიური მდგომარეობის გაანალიზებაში დამეხმარა. ჰურკას (2017) ნაშრომი: Rampage Shootings and Gun Control - Politicization and Policy Change in Western Europe, რომელიც დამეხმარა ევროპის ქვეყნებში არსებული მდგომარეობის გაანალიზებაში და დიპანშუ მოჰანის (2022) ნაშრომი US gun ownership, violence are the result of an economy aimed at maximizing self-interest, რომელიც დამეხმარა აღნიშნული კვლევის ეკონომიკური თვალსაზრისით გაანალიზებაში.

თავი I. იარაღის ლეგალიზება: თეორიული საფუძვლები

აღნიშნულ თავში საუბარია პოლიტიკური რეჟიმების მნიშვნელობაზე, როგორც მმართველთა და მართულთა შორის არსებული ბალანსის განმსაზღვრელზე, რომლის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი არის იარაღის ლეგალიზების პოლიტიკა. ამასთანავე, მოცემულია ამხსნელი თეორიები, რომლებიც უფრო ნათლად გვაჩვენებს აღნიშნულ ორს შორის ურთიერთქმედებას.

1.1. იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის ლიბერალიზაციის ამხსნელი თეორიები

სახელმწიფოსა და ადამიანის ურთიერთმპასუხისმგებლობანი საუკუნეების განვმავლობაში ვითარდებოდა და იხვეწებოდა (ლოკი, 1689), თუმცა, მართვის სადავეების მქონენი ყოველთვის ცდილობენ, რომ საკუთარი მოქმედებისა და უფლებამოსილებების არეალი გაზარდონ, ხოლო, აღნიშნული არეალის განსასაზღვრი ერთ-ერთი საუკეთესო ბერკეტი არის იარაღის ლეგალიზების პოლიტიკა (Hurka, 2017).

იარაღის ლეგალიზების პოლიტიკა, ხშირად, მთავრობების მხრიდან საზოგადოების დამორჩილების გამოხატულებაა. როგორც ჯონ ლოკი აღნიშნავს, სახელმწიფოს უნდა ეკისრებოდეს მინიმალური როლი. მისი პრეროგატივაა მოქალაქეებისათვის თავისუფლების მაქსიმალური ნიადაგის შექმნა, რითიც აღნიშნული წარმოადგენს ლიბერალიზმის, კერძოდ კი, ნეოლიბერალიზმის იდეალურ მოდელს. აღნიშნული თეორიის ერთ-ერთი ღირსება არის ის, რომ სახელმწიფო წარმოდგენილია, როგორც ე.წ. „გუშაგი“, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის შიდა წესრიგსა და უსაფრთხოებას, ქმნის იურიდიულ ჩარჩოებს იმისათვის, რომ კონკრეტულ მოქალაქეთა შორის გაფორმებული შეთანხმებების შესრულება განხორციელდეს (ლოკი, 1689).

იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის საკითხის კვლევისას ყურადსაღები თეორიაა პლურალისტური თეორია, რომელიც რობერტ დალის სახელს უკავშირდება. წიგნში „ ვინ მართავს? დემოკრატია და ძალაუფლება ამერიკულ ქალაქებში“ ავტორი ავითარებს აზრს, რომ პლურალისტურ სახელმწიფოებში, განურჩევლად პოლიტიკური

და ეკონომიკური ძალაუფლებისა, პოლიტიკურ დღის წესრიგსა და პროცესებზე გავლენა თუ ხელმისაწვდომობა მოქალაქეებსა და ზემოთხსენებულ პრივილეგირებულ პირებს თანაბრად აქვთ (დალი,1961). პლურალისტური თეორია მეტად ახლოს არის ნეოლიბერალურ თეორიასთან იმდენად, რამდენადაც სწორედ ამ იდეოლოგიის გამტარები აღნიშნავენ, რომ ინდივიდები უნდა იყვნენ აბსოლუტურად დამოუკიდებლები ან მინიმალურად დამოკიდებულები სახელმწიფოზე და საზოგადოებაზე. მათი ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულება არის რადიკალური ინდივიდუალიზმი, რომელიც ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას თავად გადაწყვიტონ მათთვის რა არის კარგი და რა- ცუდი, შესაბამისად ნეოლიბერალური ფრთა აბსოლუტური ნდობით არის განმსჭვალული ინდივიდის მიმართ. აღნიშნული იდეოლოგია უკავშირდება ფრიდრიხ ჰაიეკისა და მილტონ ფრიდმანის სახელებს. თეორეტიკოსები ნეოლიბერალიზმს აკავშირებენ ორ საფუძველთან- თავისუფალ ბაზართან და ინდივიდუალიზმთან (ჰაიეკი, 1960, ფრიდმანი,1962). გარდა ამისა, ნეოლიბერალები სახელმწიფოს მოთოკვაზე ორიენტირებულნი არიან და, რასაკვირველია, მათი მიზანი სახელმწიფოს ძალაუფლების გავრცელების შეზღუდვაა.

აღსანიშნავია, რომ, რეალურ სამყაროში პოლიტიკა და მისი თანმდევი პროცესები ყოველთვის ისე არ მიმდინარეობს, როგორც ამას თეორეტიკოსები წერენ, შესაბამისად, მოლოდინი, დაწერილი და განხორციელებული ქმედებები, თითქმის, ყოველთვის განსხვავდება ერთმანეთისაგან. ვფიქრობ, შეუძლებელია, რომ ადამიანის გონიერების, რაციონალურობის და თავისუფალი ბაზრის სტაბილურობის აბსოლუტურად გწამდეს და ჩარევის მინიმალურ დონესაც კი აღიარებდე.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ასევე ისაია ბერლინის მიერ გამოყოფილი თავისუფლების ორი გაგება, რომელთაგან თავისუფლების ნეგატიური გაგება გულისხმობს ადამიანის აბსოლუტურ შეუზღუდაობას, დაუბრკოლებლობას, იმის კეთებას, რაც მას თავად მოესურვება, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე დამოკიდებულებას. აღნიშნული თეორიის მიხედვით ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ არის თავისუფალი, როდესაც მის საქმეში არავინ, მათ შორის, არც სახელმწიფო ერევა (ბერლინი, 1958).

ბერლინისეული გაგებები საინტერესო და მრავლისმომცველია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფლების ნეგატიური გაგება, განსხვავებით პოზიტიურისაგან, რეალურ პოლიტიკაში, თითქმის, შეუძლებელია, რომ უხარვეზოდ გატარდეს იმდენად, რამდენადაც, იმ შემთხვევის გარდა, თუ ადამიანები არ იმყოფებიან სახელმწიფომდელ ბუნებით მდგომარეობაში, შეუძლებელია, რომ მის ცხოვრებაზე გავლენა არ იქონიოს არათუ სახელმწიფომ, არამედ მის გარშემო არსებულმა ადამიანებმაც კი.

შესაბამისად, ავტორთა უმეტესი ნაწილი მიიჩნევს, რომ იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული სახელმწიფოს მხრიდან ადამიანებზე ზეგავლენა და მათი მორჩილ მდგომარეობაში გადასვლა, საჭიროა, რომ არსებობდეს არაერთი ბერკეტი, რომლითაც საზოგადოება დაიცავს თავს სახელმწიფოსგან, ხოლო, ეს უკანასკნელი კი უნდა ცდილობდეს, რომ მისი ჩარევა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ადამიანის ცხოვრებაში. აღნიშნულს თანამედროვე სამყაროში ყველაზე კარგად კი აშშ გვთავაზობს, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნეოლიბერალური სახელმწიფოა (Espasito, 2014).

1.2. იარაღის ლეგალიზების დეკრიმინალიზაციის პოლიტიკა: ძირითადი მიდგომები

იარაღის ლეგალიზების პოლიტიკა სახელმწიფოების ხასიათის დამდგენი ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია იმდენად, რამდენადაც აღნიშნული საკითხი თვალნათლივ გამოხატავს ქვეყნებისა და პარტიების ღირებულებებს, მათ დამოკიდებულებას ეკონომიკასთან თუ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით (Hurka, 2017).

ამერიკის შეერთებული შტატები ერთ-ერთი იმ სახელმწიფოთაგანია, სადაც იარაღის ლეგალიზების დეკრიმინალიზაციის პოლიტიკა საუკუნეების პრაქტიკას წარმოადგენს. ერთ-ერთი ყველაზე ყურადსაღები ნაშრომი აღნიშნული საკითხის ირგვლივ არის ლუიჯი ესპესიტოს სამეცნიერო სტატია „იარაღის ლეგალიზების მიღმა: შესწავლა ნეოლიბერალიზმის, იარაღის ლეგალიზების მომხრეების პოლიტიკის და იარაღით ძალადობა ამერიკის შეერთებულ შტატებში“, (2014) ავტორის აღნიშნულ სამეცნიერო სტატიაში საინტერესოდ არის განხილული აშშ-ში იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის საკითხთან დაკავშირებით დაპირისპირებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები. აღნიშნული დაპირისპირების ნეოლიბერალური ფრთის

აზრით, მათ ხელშია ბერკეტი მთავრობის შეკავებისა, რომლებსაც ისინი არ ენდობიან და ფიქრობენ, რომ მოსახლეობის კეთილდღეობა თავად ინდივიდების ხელშია და ხელისუფლების ჩარევა მსგავს პირად სივრცეში დაუშვებელია. გარდა ამისა, ისინი იშველიებენ თავისუფალი ბაზრის კონკურენტულობას და აანალიზებენ მას, როგორც საზოგადოების განვითარებისთვის ბიძგის მიმცემი როლის მქონედ. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ნეოლიბერალური ფრთა ინდივიდის პრეროგატივად მიიჩნევს კუთვნილი სიცოცხლის დაცვას, შესაბამისად, ისინი ემხრობიან იარაღის ლეგალიზების პოლიტიკას ან მასზე დაწესებულ უმცირეს აკრძალვებს და მინიმალურად აკრძალულ წვდომას. აღსანიშნავია, რომ ბარაკ ობამას მმართველობის პერიოდში პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადებებისა თუ სასურველი რეფორმების ფონზე იარაღის ლეგალიზების კანონმდებლობის გამკაცრებასთან დაკავშირებით, ნეოლიბერალთათვის გამაღიზიანებელი აღმოჩნდა და მათ ობამას სოციალისტური რეფორმების გატარებაშიც კი დასდეს ბრალი. 1980-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, ნეოლიბერალიზმი ქადაგებს რადიკალურ ინდივიდუალიზმს, ჰიპერ-მასკულინურობას, კონკურენციას და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ნეოლიბერალიზმმა აღზარდა „სოციოპათიური საზოგადოება“, გამოაცალა ადამიანებს ემპათიის გრძნობა და ურთიერთდახმარების თუ ურთიერთზრუნვის უნარი, რაც გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნულმა იდეოლოგიამ გაწყვიტა საზოგადოების წევრებს შორის არსებული ჯაჭვი, რომელიც მათ ერთმანეთთან აკავშირებდა, შესაბამისად, მათ აღარ აქვთ ერთიანობის განცდა (Espasito, 2014).

მიუხედავად იმისა, რომ ლუიჯი ესპასიტოს არგუმენტირებულად და საინტერესოდ აქვს განხილული საკუთარი მოსაზრება ნეოლიბერალურ ფრთასთან და იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის შედეგებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების რეალისტური პოლიტიკური სურათი, შეიძლება ითქვას, რომ განსხვავდება იმისაგან, რასაც ნეოლიბერალური ფრთა ქადაგებს და ესპასიტოს აქვს წარმოდგენილი საკუთარ ნაშრომში. აშშ-ს პოლიტიკური სისტემა, ხშირ შემთხვევაში, არ არის რადიკალურად ჩაურევლობისა და მინიმალური სახელმწიფოს პოლიტიკის მატარებელი და, მეტიც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აშშ-ში არსებული თითქმის ყველა მთავრობის რეალპოლიტიკა ჩარევასა და აღკვეთას არ გამორიცხავს. ვფიქრობ, აღნიშნული ნაშრომის ავტორს არ აქვს გადმოცემული თვალნათლივ რეალური

პოლიტიკური მდგომარეობა იმისა, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარეობს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ აღწერითი და სხვისი (ნეოლიბერალური ფრთის) აზრების გამჟღერებელია.

მოცემული კვლევისათვის, ასევე, ერთ-ერთი ყურადსაღები ნაშრომია „მარტო კაცი სუფრასთან: ამერიკული საზოგადოების ნგრევა და აღორძინება“ (2000), სადაც ავტორი საუბრობს, რომ ინდუსტრიული სახელმწიფოების ერთ-ერთი მახასიათებელი არის სოციალური კაპიტალის გაუფასურება, რაც გამოწვეულია იმით, რომ ქალაქები იზრდება, ოჯახებში ორივე მშობელი მუშაობს, ადამიანები საკუთარ სივრცეში არიან გამოკეტილები და აღარ რჩებათ დრო ერთმანეთთან და ,ხშირ შემთხვევაში, შვილებთან ურთიერთობისათვისაც კი. გარდა ამისა, რობერტ პატნემი იმასაც აქცევს დიდ ყურადღებას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში პოსტმოქალაქეობრივი თაობები ჩნდება, რაც გამოიხატება სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ურთიერთპასუხისმგებლობის გრძნობის არქონაში (პატნემი, 2000).

ყოველივე ზემოაღნიშნული, ვფიქრობ, შესაძლოა, წარმოადგენდეს იარაღის ლეგალიზების დეკრიმინალიზაციის სოციალურ საფუძვლებს. ნაშრომი, ცალსახად, ეთანხმება ლუიჯი ესპესიტოს მოსაზრებას, რომ ნეოლიბერალიზმმა და ინდუსტრიალიზაციამ ადამიანები საკუთარ ტყავებში გამოკეტა და, შედეგად მივიღეთ ასოციალური, აპათიური, მხოლოდ საკუთარ თავზე დამოკიდებული საზოგადოება. თუმცა, მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ვფიქრობ, პატნემს მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საპროტესტო აქციათა რაოდენობით ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში, შესაბამისად, აღნიშნულ სახელმწიფოში, სოლიდარობისა და ურთიერთთანადგომის ხარისხის ნიშნულის უცვლელობა, შეგვიძლია მხოლოდ ამ მონაცემებზე დაყრდნობითაც დავასკვნათ.

აშშ, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სიანტერესო სახელმწიფო ჩემი კვლევისათვის, მეტად მრავალპროფილურია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, რომ სხვადასხვა თვალსაწიერიდან იქნეს განხილული. დეპანშუ მოჰანის მიერ დაწერილ სტატიაში საუბარია იარაღის ლეგალიზების საკითხზე არა ნეოლიბერალიზმის პერსპექტივაში, არამედ ეკონომიკური ინტერესების თვალსაზრისით. კერძოდ, აშშ-ს ერთ-ერთი მახასიათებელი მისი თავისუფალი ბაზარია, სადაც ნებისმიერ ადამიანს აქვს

შესაძლებლობა გამოიტანოს ბაზარზე ესა თუ ის პროდუქტი, სადაც ის ჩაებმევა თავისუფალ კონკურენციაში, ეკონომიკურ სარგებელს კი სახელმწიფო და ბიზნესმენები გადაინაწილებენ. აღნიშნულ სტატიაში ავტორი სწორედ ეკონომიკურ სარგებელს განიხილავს მიზეზად იმისა, რომ ა.შ.შ არ ცდილობს შეცვალოს იარაღის ლეგალიზების პოლიტიკა ცეცხლსასროლი იარაღით გარდაცვლილი ადამიანების შემაშფოთებელი რაოდენობის მიუხედავად. გარდა ამისა, აღნიშნულ სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ავტორის მიერ ჰოლივუდის როლზეც იარაღის ლეგალიზების საკითხში. გამომდინარე იქიდან, რომ ჰოლივუდი აერთიანებს ცნობილ ადამიანებს, რომელთაც თანამედროვე სამყაროში არაერთი თაყვანისმცემელი ჰყავთ, რომელთათვისაც ისინი ავტორიტეტებს წარმოადგენენ და მისაბაძ ადამიანებად ესახებიან და მაშინ, როდესაც ჰოლუვუდის ცნობილ ფილმებსა თუ სერიალებში ზემოთხსენებული ავტორიტეტები ქმნიან ისეთ პერსონაჟებსა და პროტოტიპებს, რომლებიც ყველასათვის სასურველი ცხოვრებით ცხოვრობენ, ფლობენ იარაღს, რითიც ხდება, გარკვეულწილად, პოპულარიზება იარაღისა. შესაბამისად, ისევ და ისევ აღნიშნული ფილმებისა და სერიალების ფონზე, პოპულარიზაცია არ მოიცავს მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიას, არამედ სცდება მას და მომსწრენი ვხდებით „მაკდონალდიზაციის“ ერთ-ერთი გამოვლინებისა (Deepanshu, 2022).

აღნიშნულ ნაშრომში ავტორი ნეოლიბერალიზმსა და მის თანმდევ მოვლენებს, ძირითადად აკრიტიკებს კონსერვატიული თვალსაწიერიდან იმდენად, რამდენადაც მას არ აქვს ადამიანების გონიერებისა და ინდივიდუალურად გადაწყვეტილების მიღების იმედი. შესაბამისად, იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის გლობალიზაციის ნაწილად ქცევის თავიდან ასარიდებლად მის დამალვას და ნაჭუჭში გამოკეტვას გვთავაზობს, რაც, ვფიქრობ, რომ არარეალური, თანამედროვე რეალპოლიტიკისაგან ძალიან შორს მდგომი არგუმენტი და გამოსავალია.

აღსანიშნავია, N.R.A.-ს (National Rifle Association) დაპირისპირება, რომელიც წარმოადგენს ყველაზე მსხვილ ორგანიზაციას, რომელიც ადვოკატირებას უწევს იარაღის ლეგალიზებას აშშ-ში, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტთან-დონალდ ტრამპტთან, რომელსაც ჰქონდა მცდელობა და სურვილი, მისი წინამორბედის მსგავსად, შეეცვალა და უფრო გაემკაცრებინა არსებული პოლიტიკა და კანონმდებლობა

იარაღის ლეგალიზებასთან დაკავშირებით. თუმცა ზემოთხსენებული ორგანიზაციის ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერიდან გამომდინარე, მან ეს ვერ მოახერხა. სწორედ ამაზე არის საუბარი ჟურნალისტი მაიკლ ბენდერის მიერ დაწერილ სტატიაში, რომელიც გვაჩვენებს თავად დონალდ ტრამპის ბუნდოვან და ხშირადცვალებად დამოკიდებულებას იარაღის ლეგალიზების პოლიტიკასთან დაკავშირებით (Bender, 2022).

აღნიშნული სტატია, ვფიქრობ, სწორხაზოვანი და სუბიექტურია იმდენად, რამდენადაც ავტორი არ აწვდის მკითხველს ინფორმაციას იმ მიზეზებზე, რატომაც იცვლიდა დონალდ ტრამპი წლების განმავლობაში დამოკიდებულებას იარაღის ლეგალიზების პოლიტიკასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ აშშ-ს პოლიტიკა მოულოდნელობებითა და გამოწვევებით არის სავსე, ვფიქრობ, ტრამპის მიერ გადაწყვეტილებების ხშირ ცვლილებას უკან არაერთი სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზი ედგა, რისი დანახვაც მეტად საინტერესო იქნებოდა აღნიშნული სტატიის კითხვისას.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1960-იან წლებში იყო პერიოდი, როდესაც იარაღის კონტროლი კანონმდებლობით იქნა გამკაცრებული, რომელსაც მკაცრად არეგულირებდა და თვალყურს ადევნებდა რონალდ რეიგანი. სწორედ აღნიშნულს ეძღვნება ანტონი გრეგორის სტატია, სადაც იარაღის კონტროლის გამკაცრების პირველწყაროდ ასახელებს „შავ პანტერებს“, რომელიც ძირითადად ჩამოყალიბებული იყო ამერიკელი შავკანიანებისგან და რომელთა შესაკავებლადაც რეიგანმა გამოსცა ბრძანება იარაღის ტარების აკრძალვასთან დაკავშირებით. ავტორის მოსაზრებით აშშ-ში იარაღის ტარების კანონის ყოველი გამკაცრება არის პრეზიდენტებისა და კონგრესის შავკანიანი ადამიანების მიმართ რასისტული დამოკიდებულებით გამოწვეული და მიმართულია მათი შეკავებისაკენ, მიუხედავად იმისა, წარმოადგენენ ისინი რეალურ საფრთხეს თუ - არა (Gregory, 2013).

აღსანიშნავია, რომ ანტონი გრეგორი გვთავაზობს ახალ მოსაზრებას ამერიკის შეერთებულ შტატებში იარაღის ლეგალიზების პოლიტიკასთან დაკავშირებით. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ ნიუ-იორკის “Sullivan Act” რომელიც პატარა ზომის იარაღს კრძალავდა და, რომელიც ,დიდი ალბათობით, იტალიელი ემიგრანტების დიდი ნაკადის

უეცარი შედინებით იქნა გამოწვეული, წარმოადგენს ერთ-ერთ მაგალითს იმისა, რომ აშშ-ს პოლიტიკა იარაღის კონტროლის გამკაცრებასთან დაკავშირებით მიმართული არ არის მხოლოდ და მხოლოდ შავკანიანებისადმი, არამედ აღნიშნული წარმოადგენს პასუხს ქვეყნის შიგნით არსებულ მდგომარეობასა და მოვლენებზე (Gregory, 2013).

აშშ-ს გავლენების გავრცელებასთან დაკავშირებით, მეტად საინტერესო იყო ჩად დე გუზმანის მიერ დაწერილი სტატია, რომელიც ეძღვნება აშშ-ს მხრიდან ფილიპინების კოლონიზაციას მე-20 საუკუნის დასაწყისში და აღნიშნული მოვლენის გავლენებს თანამედროვე ფილიპინებში. კერძოდ, დღეისათვის ფილიპინებში იარაღის შეძენა/ ტარება ლეგალურია. პირვანდელი პოლიტიკა იარაღის ლეგალიზების საკითხთან დაკავშირებით 1972 წელს ფერდინანდ მარკოს ინიციატივით შეიცვალა, თუმცა მცირედ მაინც კონტროლდებოდა, მაგრამ 2000 წელს პრეზიდენტმა- ჯოზეფ ესტრადამ ყოველგვარი კონტროლი გააუქმა, რითიც ყველა ადამიანისათვის ნებისმიერი სახის იარაღი ხელმისაწვდომი გახდა (Guzman, 2022). ფილიპინების პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური სურათი მისი დამოუკიდებლობის დღიდან, თითქმის არასდროს ყოფილა სტაბილური. შესაბამისად, ვფიქრობ, საინტერესო იქნებოდა ავტორს განეხილა მონეტის მეორე მხარეც, სადაც ნახსენები იქნებოდა ფილიპინების მიერ იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის ლიბერალიზაციის მიზეზები.

იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის დეკრიმინალიზაციის პოლიტიკაზე საუბრისას, აღსანიშნავია ასევე ევროპის ერთ-ერთ წარმატებული და გამორჩეული ქვეყანა- შვეიცარია, რომლის გამოცდილების შესწავლისას ყურადსაღები ანალიზი აღმოჩნდა კევინ მაკარტნის განხილვა, რომელიც აანალიზებს აღნიშნული ქვეყნის კანონმდებლობას იარაღის ლეგალიზებასთან დაკავშირებით. შვეიცარიას ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური კანონმდებლობა გააჩნია იმდენად, რამდენადაც დაშვებულია ქვეყნის შიგნით იარაღის შეძენა, ტარება თუ გადატანა. აღსანიშნავია, რომ იარაღის შეძენა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, რომელიც 15 წელს აღემატება, აქვს ლიცენზია და არ არის ალკოჰოლსა და აკრძალულ ნივთიერებებზე დამოკიდებული. (McCarthy, 1999).

შვეიცარიის იარაღის ქონის უფლებათა დაცვის მოძრაობის ვიცე პრეზიდენტი თვლის, რომ „იარაღი სახლში არის საუკეთესო გზა დიქტატურის თავიდან

ასაცილებლად“. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო სტატია აქვს კრიშნადევ კალამურს, რომელიც განიხილავს შვეიცარიაში იარაღის დეკრიმინალიზაციის პოლიტიკას სოციო-კულტურული და კულტურული თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ შვეიცარიაში მოქალაქის გაგებას, როგორც სამხედრო სუბიექტის, საფუძვლად შვეიცარიის დიდი ისტორია უდევს, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფოს მხრიდან შემოჭრის მოგერიება უწევდა. შესაბამისად, ყველა სახლში, სადაც მამაკაცი ცხოვრობდა, აუცილებელი იყო, რომ იარაღიც ყოფილიყო, რათა საკუთარი ოჯახი დაეცვა მტრის შემოტევის შემთხვევაში. თუმცა, აღნიშნული, დროის სვლასა და შემოსევების მინელებასთან ერთად, კულტურულ ტრადიციად იქცა. აღსანიშნავია ასევე, რომ შვეიცარიაში იარაღს მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო დატვირთვა არ აქვს, არამედ ბავშვები 5 წლის ასაკიდან სწავლობენ მის გამოყენებას და, მეტიც, არაერთი ჩემპიონატი ტარდება არასრულწლოვანთა შორის იარაღის სროლაში. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ შვეიცარიაში იარაღის დეკრიმინალიზაციას მეტად დიდი ადგილი უჭირავს სოციო-კულტურულ სფეროში (Calamur, 2018).

ჩეხეთის რესპუბლიკისათვის, ისევე, როგორც შვეიცარიის შემთხვევაში, იარაღის ტარების, ქონისა და შეძენის უფლებას ისტორიული საფუძვლები აქვს იმდენად, რამდენადაც შუა საუკუნეებში გამოიყენებოდა მტრისაგან თავდასაცავად, ხოლო დროთა განმავლობაში, აღნიშნულის ქონისა და ტარების უფლება ადამიანებისათვის განუყრელი და ფუნდამენტური გახდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული უფლება შეჩერებული იყო ათწლეულების განმავლობაში ნაცისტური და კომუნისტური ინტერვენციის შედეგად, რომელიც საბოლოოდ აღდგა 1992 წელს კონსტიტუციის მეორე შესწორებით, რომლის მიხედვითაც იარაღის შენახვის, შეძენისა და ტარების უფლება ხელშეუხებელ, ფუნდამენტურ უფლებად გამოცხადდა (CTK, Czech News Agency, 2021)

იარაღის დეკრიმინალიზაციის პოლიტიკაში ერთ-ერთი საინტერესო სახელმწიფო არის პაკისტანი, რომელიც მსოფლიოში იარაღის ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმპორტიორი ქვეყანაა. პაკისტანში იარაღის ლეგალიზების შესახებ კანონი შედარებით ლიბერალურია იმდენად, რამდენადაც მოქალაქეებს, რომლებიც, ასაკით 25 წელს აღემატებიან და არ აქვთ კრიმინალური ისტორია, აქვთ უფლება მისი შეძენისა და შენახვის. აღსანიშნავია, რომ პაკისტანში 200 მილიონი ცეცხლსასროლი იარაღი

არსებობს, რომელთაგან მხოლოდ 7 მილიონია რეგისტრირებული (Ministry of Interior of Pakistan).

რუსეთის პოლიტიკა იარაღის ლეგალიზებასთან მიმართებით, შედარებით ლიბერალურია იმდენად, რამდენადაც აღნიშნულ ქვეყანაში, მხოლოდ და მხოლოდ ბიუროკრატიული საფეხურები წარმოადგენს დაბრკოლებას იმისათვის, რომ ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც 18 წელს აღემატება შეიძინოს იარაღი. აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად ზემოთთქმულისა, აღნიშნულ სახელმწიფოში არალეგალური იარაღის რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება (Aleyev, 2018).

ყაზახეთის იარაღის ლეგალიზების საინტერესო განხილვას გვთავაზობს ალექსანდერ ბოგატიკი, რომლის მიხედვითაც, ზემოაღნიშნული ქვეყნის მსგავსად, ყაზახეთში იარაღის შეძენა და შენახვა მხოლოდ ბიუროკრატიასთან არის დაკავშირებული, თუმცა მიუხედავად ამისა, ქვეყანაში მაინც არსებობს არალეგალური, არარეგისტრირებული იარაღი, რომელსაც მოქალაქეები იყენებენ (Bogatik, 2016).

ზემოაღნიშნული სტატიები მეტად ეხმიანება და ესადაგება საკვლევ თემას, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ყოველი მათგანი არის მხოლოდ და მხოლოდ აღწერითი, ფაქტებზე დაფუძნებული და არ შეიცავს ანალიტიკას, რომელიც, ვფიქრობ, რომ საჭიროა იმისათვის, რათა უფრო თვალნათლივ იქნეს დანახული არსებული რეალობა და საერთაშორისო პრაქტიკა.

1.3 იარაღის ლეგალიზების კრიმინალიზაციის პოლიტიკა: არსებული მიდგომები

სტეფენ ჰურკას მიერ დაწერილი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ეხება დასავლეთ ევროპაში კანონების ცვლილებებს იარაღის ლეგალიზების პოლიტიკაში, ერთ-ერთი ყურადსაღები ნაშრომია ჩემი კვლევისათვის იმდენად, რამდენადაც ის განიხილავს დასავლეთ ევროპის ქვეყნების დამოკიდებულებებს და მიზეზებს, რის გამოც მოხდა აღნიშნული კანონების გამკაცრება. ბელგიაზე საუბრისას, ჰურკას მოსაზრებით 2006 წელს პარლამენტში არსებულმა ორმა სოციალისტურმა პარტიამ უდიდესი როლი ითამაშა კანონის ცვლილებაში, გამომდინარე იქიდან, რომ ანტვერპენში მომხდარი მკვლელობის ფონზე, საზოგადოების კონცენტრაცია იყო მკვლელობის რასისტულ

ნიადაგებზე და არა- იარაღის ლეგალიზების კანონის გამკაცრებაზე. შესაბამისად, ამ უკანასკნელი კანონის ცვლილება მოხდა სწრაფად და მხოლოდ და მხოლოდ მაღალ ეშელონებში მყოფი ადამიანების ინტერესების შესაბამისად. ჩემი კვლევისათვის, ასევე ყურადსაღებია აღნიშნული ავტორის მიერ ფინეთის კანონმდებლობის განხილვა, რადგან ფინეთს ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური პოლიტიკა აქვს. აღსანიშნავია, რომ 2007 წლამდე 15 წლამდე პირებსაც კი ჰქონდათ უფლება, მშობლების თანხმობით, იარაღის ქონისა და ტარების, თუმცა 2007 წელს არასრულწლოვნის მიერ განხორციელებული მკვლელობა მისი თანაკლასელებისა გახდა წინაპირობა კანონმდებლობის გამკაცრებისა (Hurka, 2017).

აღსანიშნავია, რომ სტეფენ ჰურკას ნაშრომი - Politicization and Policy Change in Western Europe (2017) მეტად საინტერესო და ყურადსაღებია. თუმცა, ვფიქრობ, მის ნაშრომში იარაღის ლეგალიზების კანონმდებლობის ცვლილებებთან დაკავშირებით ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ და მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის მეშვეობით განხორციელებული მკვლელობების შედეგად შეცვლილ კანონებზე, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ხნის შემდეგ მოხდა აღნიშნული კანონების ცვლილება. ვფიქრობ, აღნიშნული არ არის აზრსმოკლებული, თუმცა, არც ერთადერთი არგუმენტი, რის გამოც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მოხდა იარაღის ლეგალიზების კანონის გამკაცრება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დამოკიდებულების გასაგებად, იარაღის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით, დამეხმარა ბენ ნაითის სტატია, რომელიც აღნიშნული სახელმწიფოს კანონმდებლობას ეხება და აღწერილია, რომ გერმანიას ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი კანონმდებლობა აქვს იარაღთან დაკავშირებით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გარკვეულ შემთხვევებში მაშინ, როდესაც პირი დაადასტურებს, რომ მას და მის სიცოცხლეს საფრთხე ექმნება, სახელმწიფო უშვებს გამონაკლისს და აღნიშნულ პირს ეძლევა უფლება, რომ იარაღი ატაროს დაფარულ მდგომარეობაში (Night, 2022).

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ორი სტატია მეტად ეხმიანება ჩემს საკვლევ თემას, ვფიქრობ, საინტერესო იქნებოდა ნაკლებად აღწერითი და მხოლოდ ფაქტების გადმომცემი ყოფილიყო და კავშირი დაგვენახა გერმანიისა და შვეიცარიის

სოციოკულტურული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიმართებები იარაღის ლეგალიზების პოლიტიკასთან დაკავშირებით.

დიდი ბრიტანეთის დამოკიდებულებისა და კანონმდებლობის გასაანალიზებლად იარაღის ლეგალიზების პოლიტიკასთან დაკავშირებით დამეხმარა სკოპელიტი, რომლის სტატიაც მოიცავს კანონმდებლობის განხილვას, სადაც გადმოცემულია დიდი ბრიტანეთის გამკაცრებული დამოკიდებულება იარაღთან დაკავშირებით იმდენად, რამდენადაც არათუ მოქალაქეებს, არამედ, ძირითად შემთხვევებში, სამართალდამცველებსაც კი არ აქვთ უფლება იარაღის ტარებისა (Skopeliti, 2021).

აღნიშნული სტატია დამეხმარა გამეგო დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა იარაღის ლეგალიზების პოლიტიკასთან დაკავშირებით, თუმცა, ვფიქრობ საინტერესო იქნებოდა ისეთ კითხვებსაც გასცემოდა პასუხი, როგორიცაა- რამ გამოიწვია დიდ ბრიტანეთში კანონის ასეთი გამკაცრება? როგორია ბრიტანეთის მოქალაქეების დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით?

ჩინეთი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მკაცრი კანონმდებლობის გამტარია იარაღის ლეგალიზებასთან დაკავშირებით იმდენად, რამდენადაც აღნიშნულ ქვეყანაში აკრძალულია იარაღის შეძენა/ტარება, იმ შემთხვევების გარდა, თუ ინდივიდი მას არ იყენებს სანადიროდ, ან მიზეზად წარდგენილი აქვს ცხოველებისაგან თავდაცვა. აღნიშნულ ქვეყანაში მხოლოდ და მხოლოდ სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენელ ადამიანებს აქვთ იარაღის ტარების უფლება სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების დროს (Schroeder, 2021).

ზემოთხსენებული სახელმწიფოს მსგავსად, ერაყის ნახევრად ავტონომიური ქურთული რეგიონის მთავრობამ 2022 წელს ბრძანება გასცა თითოეული მოქალაქისათვის არსებული იარაღის ჩამორთმევის შესახებ, რაც გამოწვეული იყო უნივერსიტეტის პროფესორების ცეცხლსასროლი იარაღით მკვლელობით. ერაყის მთავრობამ 6 თვე მისცა მოქალაქეებს, რათა საკუთრებაში არსებული ყველა სახის ცეცხლსასროლი იარაღი მთავრობის საკუთრებაში გადაეცათ (Tollast, 2022). აღსანიშნავია, რომ მოცემული ქვეყნის კანონმდებლობა იარაღის ლეგალიზებასთან დაკავშირებით, დღესდღეობით, ერთ-ერთი ყველაზე მკაცრია.

ზემოაღნიშნული სტატიები მეტად ეხმიანება და ესადაგება საკვლევ თემას, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ყოველი მათგანი არის მხოლოდ და მხოლოდ აღწერითი, ფაქტებზე დაფუძნებული და არ შეიცავს ანალიტიკას, რომელიც, ვფიქრობ, რომ საჭიროა იმისათვის, რათა უფრო თვალნათლივ იქნეს დანახული მსოფლიო პრაქტიკა იარაღის დეკრიმინალიზაცია/კრიმინალიზაციასთან დაკავშირებით.

თავი II: იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის პრაქტიკა და ტოპოლოგია: საერთაშორისო პრაქტიკა

მოცემულ თავში განხილულია სოციო-კულტურული თუ პოლიტიკური ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს ამა თუ იმ ქვეყანაში იარაღის ლეგალიზების კრიმინალიზაცია/დეკრიმინალიზაცია. ამასთანავე, წარმოდგენილია ცხრილი, სადაც თითოეული განხილულ სახელმწიფოს მინიჭებული აქვს კონკრეტული ინდექსი იარაღის ლეგალიზების ხარისხის მიხედვით (გრაფა N1). მოცემულია ასევე მსოფლიო რუკა, სადაც ილუსტრირებულია სახელმწიფოთა ხასიათი იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის მიხედვით.

2.1. იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის მსოფლიო გამოცდილება

იარაღის ლეგალიზაციის პოლიტიკა, მრავალი მეცნიერისა და მოაზროვნისათვის, მოქალაქეთა დამორჩილებისა და საკუთარი ძალაუფლების გაფართოების ერთ-ერთ ბერკეტად არის მიჩნეული (Peter, 1997; Espasito, 2014; Callamur, 2018; Deepanshu, 2022;). შესაბამისად, ვფიქრობ, რომ მეტად მნიშვნელოვანი კავშირები არსებობს ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სისტემასა და იარაღის ლეგალიზების პოლიტიკას შორის. კვლევის ფარგლებში, იმისათვის, რომ უფრო თვალნათელი გამხდარიყო ზემოაღნიშნული კავშირები, და ასევე მსგავსება/განსხვავებანი იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებშიც ლიბერალური ან ნაკლებ ლიბერალური კანონმდებლობა არსებობს იარაღის ლეგალიზებასთან დაკავშირებით, გამოვიყენე „ფრიდომ ჰაუსის“ (Countries and Territories, 2021) მიერ შექმნილი დემოკრატიის ინდექსი. გარდა ამისა, გამოყენებულ იქნა ჩემ მიერ ქვეყნებისათვის მინიჭებული ინდექსი, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ სახელმწიფოში რამდენად არის იარაღის ლეგალიზების კანონმდებლობა ლიბერალური, ხოლო სახელმწიფოები შერჩეულ იქნენ მათი ეკონომიკური მდგრადობის (Gini coefficient), პოლიტიკური სტაბილურობისა და თავისუფლების ხარისხის (Freedom House) მიხედვით. აღნიშნულ თავში, კვლევის მიზნის შესაბამისად, შედარებული და ახსნილი არის ის წინაპირობები თუ გარემოებანი, რატომაც არის ამა თუ იმ ქვეყანაში იარაღის ლეგალიზება მეტად ლიბერალური/მკაცრი

ფორმით მოცემული. შექმნილი ინდექსი მოცემულია მაჩვენებლით 1-დან 3-მდე, სადაც 1 აღნიშნავს ქვეყანას, რომელიც ყველაზე ნაკლები რეგულაციებითა და იარაღის მიმართ კანონმდებლობის ლიბერალურობით გამოირჩევა, ხოლო 3 აღნიშნავს ქვეყანას, სადაც ყველაზე მკაცრად არის იარაღის ლეგალიზების მიმართ რეგულაციები და კანონმდებლობა.

იმისათვის, რომ სახელმწიფოებში არსებული იარაღის ლეგალიზების კანონმდებლობის შესაბამისი კოეფიციენტი შემექმნა, ვიხელმძღვანელე ისეთი არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციების მაგალითებით, როგორიც არის- Freedom House, The Economist Intelligence Unit და Gini Coefficient. შესაბამისად, ჩემ მიერ ქვეყნებისათვის მინიჭებული ინდექსი, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ქვეყნების მიხედვით იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის მახასიათებლებს წონა შეგვიძლია მივანიჭოთ შემდეგი კრიტერიუმებით :

- მსუბუქი კანონმდებლობა იარაღის შეძენა/ტარება/ შენახვაზე - 25%
- ლიცენზიის მოთხოვნები და ტიპები - 25%
- რეგულაციები იარაღის შენახვასა და გადატანაზე - 25%
- დაშვებული იარაღის სახეობები - 25%

ხოლო ქულები სახელმწიფოებს შეგვიძლია მივანიჭოთ შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

- შეზღუდვების არარსებობა - 0
- მცირედი/ნაკლები შეზღუდვა - 1
- მკაცრად/მეტად შეზღუდვა - 2
- სრულად შეზღუდვა - 3

მაგალითისათვის : ქვეყანა X, სადაც იარაღის შესახებ კანონმდებლობა მეტი ლიბერალურობითა და ნაკლები რეგულაციებით გამოირჩევა მისთვის მინიჭებული წონა და ქულა შემდეგი სახით იქნება:

- მსუბუქი კანონმდებლობა იარაღის შეძენა/ტარება/შენახვაზე - 1
- ლიცენზიის მოთხოვნები და ტიპები - 1
- რეგულაციები იარაღის შენახვასა და გადატანაზე - 1
- დაშვებული იარაღის სახეობები - 1

კოეფიციენტი, ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძველზე კი იქნება: (1*0.25)+(1*0.25)+(1*0.25)+(1*0.25)=1

საბოლოოდ კი ჩემ მიერ ჩამოყალიბებული ქვეყანათა სია, რომელთაც მინიჭებული აქვთ ინდივიდუალური ინდექსი მიიღებს შემდეგნაირ სახეს:

ცხრილი N1: ქვეყნები, რომელთაც მინიჭებული აქვთ ინდექსი იარაღის ლეგალიზების საკითხთან დაკავშირებით.

ქვეყანა	ინდექსი	ქვეყანა	ინდექსი
ბელარუსია	3	ირანი	3
ჩინეთი	3	მალაიზია	3
ნიდერლანდები	2.5	ნიგერია	2.5
ნორვეგია	2.5	ვიეტნამი	2.5
დიდი ბრიტანეთი	2.5	ვენესუელა	2.5
ზიმბაბვე	2.5	თურქეთი	2.5
უნგრეთი	2.25	შვედეთი	2
ესპანეთი	2	სამხ.კორეა	2
ახალი ზელანდია	2	მონაკო	2
სლოვაკეთი	2	პოლონეთი	2
ლატვია	2	აზერბაიჯანი	2
სომხეთი	2	ბულგარეთი	2
კოსოვო	2	უკრაინა	2
ერაყი	2	მონღოლეთი	2
ტაილანდი	1.5	პერუ	1.5
ფილიპინები	1.5	შვეიცარია	1.5
იტალია	1.5	რუსეთი	1.5
ლიეტუვა	1.5	საქართველო	1.5
ისრაელი	1.5	ალბანეთი	1.5
ყაზახეთი	1.25	მოლდოვა	1.25

მონტენეგრო	1.25	აშშ	1
იემენი	1	ჩეხეთი	1

წყარო: Freedom House

ავტორი: თეკლა გაბუნია

ილუსტრაცია N1: მსოფლიოს რუკა იარაღის ლეგალიზების საკითხთან დაკავშირებით.



წყარო: International firearm injury prevention and policy

ავტორი: თეკლა გაბუნია

დემოკრატიისა და იარაღის ლეგალიზების კრიმინალიზაცია თუ დეკრიმინალიზაციის პოლიტიკის კორელაცია მეტად კომპლექსურია, რომელიც რიგი ფაქტორებით შეიძლება იყოს გამოწვეული, როგორიც არის- სოციო-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული მიზეზები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული რეჟიმები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი საკუთარი მოსახლეობის ინტერესების გატარებასა და გათვალისწინებისაკენ, ხოლო ავტოკრატიული და ტოტალიტარული რეჟიმები კი საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ, რაც, შესაბამისად,

აისახება ქვეყნის სოციო-კულტურულ ფაქტორებზეც, რამდენად იქნება ამა თუ იმ პოლიტიკური სისტემის მქონე სახელმწიფოში დაცული და გატარებული მოსახლეობის საერთო ნება. კვლევის პროცესში, იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის გასაგებად ჩემ მიერ მინიჭებული ინდექსისა და ფრიდომ ჰაუსის მიერ მინიჭებული თავისუფლებისა და დემოკრატიულობის (Countries and Territories, 2021) კოეფიციენტთა კორელაციით, შესაძლებელი ხდება იმის დადგენა, თუ რა კავშირში არის ზემოაღნიშნული ორის ურთიერთმიმართება და რა საერთო აქვთ იმ სახელმწიფოებს, რომელთაც გააჩნიათ ერთნაირი თავისუფლებისა თუ იარაღის კრიმინალიზაცია/დეკრიმინალიზაციის ინდექსი.

2.2. თავისუფალი სახელმწიფოები და იარაღის დეკრიმინალიზაცია

კვლევის პროცესში, ქვეყანათა პოლიტიკური თავისუფლების ხარისხსა და იარაღის ლეგალიზების პოლიტიკას შორის, მეტად საინტერესო კავშირები გამოვლინდა. პირველ რიგში, აღსანიშნავია, ფრიდომ ჰაუსის თავისუფლების განმარტება, რომელიც გულისხმობს ადამიანების პოლიტიკისადმი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას, დაწყებული ხმის მიცემის უფლებით, აღმსარებლობისა და გამოხატვის უფლებით დამთავრებული, რომელთა ხარისხიც მეტად არის დამოკიდებული ქვეყნის შიდა და გარე პოლიტიკაზე. ხოლო, დემოკრატიის ნიშნული მოცემულ არასამთავრობო ორგანიზაციაში გამოხატავს და აღწერს ადგილობრივ მთავრობას, არჩევნების პროცესს, დამოუკიდებელ მედიას, სამოქალაქო საზოგადოებას, სასამართლოს დამოუკიდებლობასა და კორუფციის ხარისხს.

ნაშრომში დასახელებული ქვეყნებიდან, ფრიდომ ჰაუსის თავისუფალ და დემოკრატიულ ქვეყანათა სიაში მოხვდნენ: ბულგარეთი, ლატვია, პოლონეთი, სლოვაკეთი, მონაკო, ახალი ზელანდია, სამხრეთ კორეა, ისრაელი, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, ჩეხეთი, აშშ, ნიდერლანდები, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი. აღნიშნული ქვეყნებისათვის მინიჭებული იარაღის ლეგალიზების ინდექსი მერყეობს 1-დან 2.5-ის ჩათვლით, რომელთა ხარისხსაც, როგორც უკვე ვახსენე, არაერთი ფაქტორი განაპირობებს. მაგალითისათვის, ჩეხეთის რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს იარაღის ლეგალიზების დეკრიმინალიზაციის ყველაზე ლიბერალური ფორმა

გააჩნიათ. შესაბამისად აღნიშნულ ქვეყნებს თანაბრად 1 კოეფიციენტი აქვთ მინიჭებული. მიუხედავად იმისა, რომ მათი სახელმწიფოებრივი ისტორია მეტად განსხვავებულია, მათ კონსტიტუციაში ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას იარაღის ფლობა წარმოადგენს. შესაბამისად, აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებულ ორ ქვეყანას ერთ-ერთი უმაღლესი შეფასება აქვთ ქვეყანათა შორის დემოკრატიისა და ლიბერალიზმის ხარისხის მიხედვით. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური სისტემა წარმოადგენს ფედერაციულ, საპრეზიდენტო მმართველობის ფორმას, ხოლო ჩეხეთი უნიტარული, საპარლამენტო რესპუბლიკაა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანის პოლიტიკური სისტემისათვის დემოკრატიის ფუნდამენტური მახასიათებლების დაკმაყოფილება ყოველდღიური პოლიტიკის ნაწილია, როგორიც შეიძლება იყოს სიტყვისა თუ აღმსარებლობის თავისუფლება, კონკურენტული, სამართლიანი არჩევნები და საერთო, უმრავლესობის ნების გამოხატვა. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული ორი ქვეყნისათვის, როგორც კულტურულად, ასევე სოციო-პოლიტიკურად მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოების საერთო ნების გამოხატვა, რომელიც ვლინდება იარაღის ლეგალიზების დეკრიმინალიზაციის პოლიტიკაში.

ფრიდომ ჰაუსის მიერ თავისუფალ ქვეყანათა სიაში დასახელებული სახელმწიფოებიდან მნიშვნელოვანია ასევე ნიდერლანდები, ესპანეთი, ახალი ზელანდია, შვედეთი, მონაკო, ნორვეგია და დიდი ბრიტანეთი. აღნიშნულ ქვეყნებს იარაღის ლეგალიზების ხარისხის დასადგენად 2.0-2.5 კოეფიციენტი აქვთ მინიჭებული, რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნულ ქვეყნებში მეტად მკაცრად კონტროლდება იარაღის შეძენა/შენახვა/გადატანა, ხოლო დაშვებული იარაღების სახეობები, რომლებიც თავდაცვისათვის ან/და სანადიროდ გამოიყენება, ან ძალიან მცირეა, ან საერთოდ აკრძალულია. აღსანიშნავია, რომ ზემოთჩამოთვლილ სახელმწიფოთა პოლიტიკური სისტემა კონსტიტუციურ მონარქიას წარმოადგენს, სადაც მონარქი, უმეტეწილად, სიმბოლურ დატვირთვას ატარებს, რეალური პოლიტიკური ძალაუფლება და სადავეები კი პარლამენტის ხელშია. თუმცა, მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ მაინც დიდ გავლენას ახდენს ქვეყანათა პოლიტიკურ სისტემასა და მიმართულებაზე. როგორც უკვე აღინიშნა, ზემოთჩამოთვლილი სახელმწიფოები Freedom House-ის მიხედვით ევროპის მასშტაბით თავისუფლებისა და დემოკრატიის მაღალი კოეფიციენტით გამოირჩევიან,

რაც მათ დიდ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ძალაუფლებას ანიჭებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის წარმოებისას. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთჩამოთვლილ სახელმწიფოთა პარლამენტებს, უმეტესწილად, ლიბერალური იდეოლოგიის მქონე პარტია წარმოადგენს, კონსერვატორები აქაც, ისევე, როგორც დიდ ბრიტანეთში, დიდ ძალას წარმოადგენენ (Sibley, 2007; Niek PAS, 2011; Neobauer, 2023). შესაბამისად, კონსერვატიული იდეოლოგიის მიხედვით, სახელმწიფო მოქალაქეს უწევს მამობას, რომელიც ვალდებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში ჩაერიოს მის პირად ცხოვრებაში, უკარნახოს მას ქმედებანი და დაიცვას მაშინ, როდესაც საკუთარი თავის დაცვა არ ძალუძს (ჰეივუდი, 1992). ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოცემულ ქვეყანათა პოლიტიკური სისტემის, პარტიული იდეოლოგიისა და პოლიტიკური ისტორიიდან გამომდინარე აღნიშნულ ქვეყნებში იარაღის კრიმინალიზაციის პოლიტიკა ტარდება, სადაც მკაცრად კონტროლდება თითოეული იარაღი, მისი გამოყენება, იმპორტი თუ ექსპორტი.

ფრიდომ ჰაუსის მიერ დასახელებულ დემოკრატიულ და თავისუფალ ქვეყანათა შორის აღსანიშნავია ასევე: ბულგარეთი, ლატვია, პოლონეთი, სლოვაკეთი და მონაკო რომელთაც იარაღის ლეგალიზების ხარისხის გამოვლენისას მინიჭებულ ექნათ კოეფიციენტი- 2. თითოეული ზემოთჩამოთვლილი სახელწმიფო წარმოადგენს საპარლამენტო რესპუბლიკას, რომლის მთავარ ფიგურასაც პრემიერ მინისტრი წარმოადგენს. როგორც უკვე ვახსენე, იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის გატარების მიზეზები მეტად კომპლექსურია, რაც შეიძლება იყოს გამოწვეული კულტურული, სოციალური თუ პოლიტიკური მიზეზებით. შესაბამისად, მიუხედავად ზემოაღნიშნული ქვეყნების თავისუფლებისა და დემოკრატიულობის მაღალი ხარისხისა, მათ აკავშირებთ საერთო წარსული- საბჭოთა კავშირი, არაერთი ბრძოლა, ანექსია თუ დიდი ომი. გარდა ამისა, აღსანიშნავია ასევე, რომ თითოეული მათგანი ევროკავშირის წევრია, რომლის კანონმდებლობაც იარაღის ლეგალიზებასთან დაკავშირებით მეტად მკაცრია, ამ უკანასკნელს შეგვიძლია დავუკავშიროთ „პატარა სახელმწიფოს“ კონცეფცია (Thorhallsson, 2012), რომლის მიხედვითაც პატარა და სუსტი სახელმწიფოები იყენებენ „მიტმასნების“ პოლიტიკას, რათა გადარჩნენ. შესაბამისად მოცემული ქვეყნების შემთხვევაში იარაღის ლეგალიზების კრიმინალიზაციის პოლიტიკა, ვფიქრობ, უფრო

მეტად გამოწვეულია კულტურული და ისტორიული ფაქტებიდან გამომდინარე, ვიდრე პოლიტიკური სისტემიდან.

2.3 ნახევრად თავისუფალი/ არათავისუფალი სახელმწიფოები და იარაღის ლეგალიზების პოლიტიკა

ფრიდომ ჰაუსის მიერ დასახელებულ ნახევრად თავისუფალ ქვეყნებში, ჩემ მიერ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან მოხვდა: სომხეთი, უკრაინა, საქართველო, მოლდოვა, ფილიპინები, ნიგერია, მალაიზია, კოსოვო, ალბანეთი, უნგრეთი. აღსანიშნავია, რომ მოცემული სახელმწიფოების უმრავლესობაში საპარლამენტო ან ნახევრად საპრეზიდენტო პოლიტიკური მმართველობაა, რომლის სისტემაც დემოკრატიის პრინციპებზე არის აგებული. თუმცა, მათთვის იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის საკითხში მინიჭებული კოეფიციენტი მერყეობს 1.5-დან 3-მდე. ამ უკანასკნელს მალაიზია ინაწილებს იმდენად, რამდენადაც მოცემულ სახელმწიფოს მრავალწლიანი ისტორია აქვს კომუნიზმისა, ხოლო აღნიშნული მმართველობის ფორმისა და იდეოლოგიის შესაბამისად, ადამიანის თავისუფლება, მისი ფუნდამენტური უფლებანი თუ მოთხოვნილებანი უკანა პლანზე არის გადაწეული. მიუხედავად იმისა, რომ მალაიზიაში დღესდღეობით კომუნისტური რეჟიმი ოფიციალურად აღარ არის, რამდენიმე ათეული წლის გავლენამ თავისი კვალი მაინც დატოვა როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ დონეზე (Weiss). სწორედ ამიტომ აქვს ფრიდომ ჰაუსს მალაიზია ნახევრად თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნების სიაში ჰყავს შეყვანილი, რომელიც, შესაბამისად, აისახება იარაღის ლეგალიზების პოლიტიკაზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სომხეთის, უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს მონაცემები, რომლებიც ფრიდომ ჰაუსს მოხსენიებული ჰყავს, როგორც ნახევრად დემოკრატიული/თავისუფალი ქვეყნები. ოთხივე სახელმწიფო საპარლამენტო და/ან ნახევრად საპრეზიდენტო სისტემებს წარმოადგენენ, აღნიშნული სახელმწიფოების შემთხვევაში იარაღის ლეგალიზებისა და თავისუფლების/დემოკრატიულობის კორელაცია მეტად კომპლექსურია იმდენად, რამდენადაც მათ აკავშირებთ თითქმის საუკუნოვანი საბჭოთა გამოცდილება, რომლის მარწუხებსაც დღესაც ებრძვიან, პოლიტიკური პოლარიზება, ნახევრად თავისუფალი

მასმედია, პოლიტიკური კორუფცია. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ სახელმწიფოებში იარაღის კრიმინალიზაციის თუ დეკრიმინალიზაციის პოლიტიკა გამოწვეულია პოლიტიკური, ტერიტორიული თუ სოციალური საკითხებით.

არათავისუფალი სახელმწიფოების ფრიდომ ჰაუსის ჩამონათვალში მოხვდნენ: აზერბაიჯანი, ირანი, რუსეთი, ერაყი, ტაილანდი, თურქეთი, ზიმბაბვე, ვენესუელა, ვიეტნამი, ჩინეთი და ყაზახეთი, რომელთა არსებული იარაღის ლეგალიზების პოლიტიკა, ასევე რიგი მიზეზებით შეიძლება აიხსნას და რომელთა კოეფიციენტიც აღნიშნულ საკითხში მერყეობს 1.5-დან 3-მდე. საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ირანი და ჩინეთი, სადაც ყველანაირი სახის იარაღი აკრძალულია, როგორც მისი სპორტული დანიშნულებისათვის გამოყენება, ასევე თავდაცვისათვის. ირანში ისლამური თეოკრატიული მმართველობაა, სადაც ადამიანთა უფლებები, ქალთა უფლებები და ბავშვთა უფლებები ფრიდომ ჰაუსის მონაცემების მიხედვით არ არის დაცული. აღნიშნულ ქვეყანაში ავტოკრატიული მმართველობაა, რომლის სათავეშიც აიათოლა ალი ხამეინი დგას (BBC, 2022). შესაბამისად, ირანში არსებული პოლიტიკური თუ სოციალური ვითარების გათვალისწინებით, იარაღის დეკრიმინალიზაცია ხელისუფლებისათვის და მისი ძალაუფლების ცენტრალიზაციისათვის საფრთხისშემცველი აქტი იქნება, რომელმაც მოქალაქეებს შესაძლოა მეტი ძალაუფლება გადასცეს. ჩინეთი ერთ-ერთი კომუნისტური ქვეყანაა იმ მცირეთაგან, რომელიც თანამედროვე სამყაროში არსებობს (Albert, 2022), ფრიდომ ჰაუსის არათავისუფალ და არადემოკრატიულ სახელმწიფოთა რიცხვში კი მისი კორუფციული და მხოლოდ პარტიულ ინტერესებზე ორიენტირებული ხასიათის გამო მოხვდა. შესაბამისად, ჩინეთის პარტიული იდეოლოგიისა და კომუნიზმის ისტორიული საფუძვლების გათვალისწინებით, აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც ირანში, აღნიშნულ სახელმწიფოში იარაღის ნებისმიერი სახის შეძენა/შენახვა/გადატანა აკრძალულია კანონით და ითვალისწინებს პატიმრობასა და ადმინისტრაციულ სასჯელს. ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ირანისა და ჩინეთის შემთხვევაში, დემოკრატიის ხარისხი და იარაღის ლეგალიზება აბსოლუტურ კორელაციაშია იმდენად, რამდენადაც ერთის უცვლელობა თუ გულგრილობა

დემოკრატიულ საწყისებთან დაკავშირებით პირდაპირ კავშირშია იარაღის ლეგალიზების აკრძალვასთან.

არადემოკრატიულ და არათავისუფალ ქვეყნებს შორის აღსანიშნავია ასევე ერაყი, რუსეთი და ყაზახეთი, რომლებიც ავტორიტარულ მმართველობებს წარმოადგენენ (Freedom house, 2021; EIU, 2022; Kolesenikov, 2022;), სადაც დემოკრატიის მახასიათებლები და კრიტერიუმები მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლურად არის დაკმაყოფილებული. აღნიშნულ ქვეყნებში, უმეტესწილად, ძალაუფლება არალეგიტიმურად არის მითვისებული პარტიის ან პიროვნების მიერ (Britannica). თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევებში, განსხვავებით სხვა არადემოკრატიული ან ნახევრად დემოკრატიული ქვეყნებისაგან, იარაღის ლეგალიზების პოლიტიკა მეტად ლიბერალურია, მიუხედავად ხელისუფლების ნახევრად- ლეგიტიმურობისა, მოქალაქეებს, ბიუროკრატიის გათვალისწინებით, მარტივად მიუწვდებათ ხელი იარაღის მრავალ სახეობაზე. მოცემული პარადოქსი, ჩინეთისა და ირანის მაგალითის გათვალისწინებით, შეგვიძლია ავხსნათ ზემოაღნიშნული ქვეყნების ისტორიის საფუძველზე იმდენად, რამდენადაც თითოეული მათგანი დროის გარკვეულ მონაკვეთში იყვნენ აგრესორები სხვა სახელმწიფოების მიმართ (Riedel, 2013; BBC, 2022; Kelly, 2022), რაც ქმნის სახელმწიფოში არალეგალური იარაღის გაჩენის საფრთხეს, რომელიც, შესაძლოა, გახდეს იარაღის ლეგალიზების კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ერთ-ერთი მიზეზი.

ფრიდომ ჰაუსის თავისუფლების კოეფიციენტი მეტად დამეხმარა დამენახა კავშირები ქვეყნის პოლიტიკურ სისტემასა და იარაღის ლეგალიზების პოლიტიკას შორის. ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის ლიბერალიზაციის ხარისხს განსაზღვრავს არაერთი ფაქტორი, როგორც დემოკრატიული და თავისუფალი ქვეყნების შემთხვევაში, ასევე არადემოკრატიული და არათავისუფალი სახელმწიფოების შემთხვევაში, რომელიც შეიძლება იყოს სოციალური თუ კულტურული მიზეზები, როგორც ეს ბულგარეთის, ლატვიის, სლოვაკეთის თუ პოლონეთის შემთხვევაში გამოვლინდა, ასევე პოლიტიკური, როგორც ყველა დანარჩენ შემთხვევაში.

თავი III. იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის შეფასება და ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი

რესპონდენტები, რომლებთანაც კვლევის ფარგლებში ჩატარებულ იქნა ინტერვიუები 2020 წლიდან არიან მეათე მოწვევის პარლამენტის მანდატის მფლობელნი და პარტია „გირჩის“ წევრები, რომელებიც თავისი კარიერის განმავლობაში არაერთ არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობდნენ. დღესდღეობით კი აქტიურად არიან ჩართულნი საქართველოში იარაღის ლეგალიზების საკითხის აქტუალიზაციაში. ხოლო შემდეგ რესპონდენტს წარმოადგენს სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ასოცირებული პროფესორი, რომელიც საქართველოს მეცხრე მოწვევის პარლამენტის წარმომადგენელი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. შესაბამისად, ზემოაღნიშნული რესპონდენტები მეტად გათვითცნობიერებულნი არიან იარაღის ლეგალიზების პოლიტიკაში იმდენად, რამდენადაც პირადად მათ უმუშავიათ როგორც კანონპროექტის შექმნასა და დამუშავებაზე, ასევე კანონმდებლობის მიღებაზე საქართველოში.

იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი არის საზოგადოებაში არსებული რწმენა/წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რამდენად და რა დოზით აქვს უფლება სახელმწიფოს ჩაერიოს ადამიანის ცხოვრებაში, აღზარდოს და მიუთითოს მას რისი გაკეთება შეუძლია ან არ შეუძლია. შესაბამისად, როგორც სახელმწიფოებრივი, ასევე საზოგადოებრივი განვითარების ისტორია მეტად მნიშვნელოვანია ჩემი რესპონდენტისათვის იმდენად, რამდენადაც საზოგადოება ქმნის სახელმწიფოს, სადაც მას უნდა ჰქონდეს წარმოდგენა, როგორც სახელმწიფოს უფლებამოსილების შესახებ, ასევე მის როლზე სახელმწიფოსთან მიმართებით (სატელეფონო ინტერვიუ, 31.04.2023). აღსანიშნავია, რომ შემდეგი რესპონდენტის აზრით, სახელმწიფოში არსებული სამართლებრივი თუ პოლიტიკური წყობილება, უმეტესწილად, მომდინარეობს ქვემოდან, საზოგადოებისგან იმდენად, რამდენადაც მისთვის მნიშვნელოვანია ისტორიული საფუძვლები, საზოგადოებრივი განვითარების საფეხურები, გეოპოლიტიკა, რომლებიც, მეტწილად, განაპირობებენ ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ თანამედროვე კანონმდებლობას თუ რეჟიმებს. ამ უკანასკნელზე საუბრისას კი ის მიიჩნევს, რომ დემოკრატიული სისტემები თანამედროვე სამყაროში, მეტწილად,

ნაკლოვანია, თუმცა უფრო მეტად განსაზღვრავენ იარაღის ლეგალიზების დეკრიმინალიზაციას, ხოლო ავტოკრატიულ ქვეყნებში ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივი დებატები აკრძალულია და გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ნებაზეა დამოკიდებული, რომელიც, ძირითად შემთხვევებში, იარაღის კრიმინალიზაციის გზას ირჩევს. თუმცა, იქვე დასძენს, რომ იემენი არის ერთ-ერთი გამონაკლისი, სადაც დემოკრატია და ლიბერალიზმი ჯერ კიდევ შორეული პერსპექტივაა, თუმცა, ამბობს, რომ *„იემენში შეიარაღებული ადამიანები თანაცხოვრობენ ძალადობის გარეშე“* (სატელეფონო ინტერვიუ, 29.04.2023).

კონსტიტუციონალისტთან საუბრისას, ირკვევა, რომ ქვეყანაში არსებული რეჟიმები განსაზღვრავენ სახელმწიფოს დღის წესრიგს განვითარების ყველა საფეხურზე, როგორიც შეიძლება იყოს ეკონომიკა, სოციალური კეთილდღეობა, კანონმდებლობის ჩამოყალიბება, შექმნა თუ აღსრულება. შესაბამისად, იარაღის ლეგალიზების კანონმდებლობაც სხვადასხვა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმისა და წესწყობილების საფუძველზეა მიღებული და დამკვიდრებული. მას საუბარში შემოაქვს ტერმინი „ძალადობის მონოპოლია“, რომელსაც სახელმწიფოს მიაკუთვნებს და მიაჩნია ქვეყნებში არსებული იარაღის ლეგალიზების მკაცრი პოლიტიკის ერთ-ერთ გამართლებად იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო იტოვებს ძალადობის მონოპოლიას ქვეყანაში. პირველ რიგში, წესრიგის და დემოკრატიის სტაბილურობის გამო, მხოლოდ მას აქვს უფლება, რომ სხვისი უფლებები შეზღუდოს იარაღის გამოყენებით, ხოლო იმ ქვეყნებში, რომლებშიც აკრძალულია იარაღის ტარება, სახელმწიფო მას უტოვებს შესაძლებლობას, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისგების გარეშე, თავდამსხმელისათვის იარაღის წართმევის საფუძველზე ან სხვა კანონმდებლობით დაშვებული იარაღით დაიცვას საკუთარი თავი (სატელეფონო ინტერვიუ, 02.05.2024).

ზემოაღნიშნული პასუხებიდან ჩანს, რომ რესპონდენტებს ერთმანეთისაგან განსხვავებული წარმოდგენები და მოსაზრებები აქვთ სახელმწიფოს უფლებამოსილებასა და როლზე. ერთი-ერთი მათგანი მიიჩნევს, რომ, უმეტესწილად, ქვეყნებში არსებული კანონმდებლობა და რეჟიმი განპირობებულია საზოგადოებრივი განვითარების ისტორიითა და ქვემოდან წამოსული მოთხოვნებით, ხოლო სხვანი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოა განმსაზღვრელი ქვეყანაში არსებული სამართლებრივი თუ

პოლიტიკური დღის წესრიგისა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გაცხადებულად თუ ირიბად, ყველა მათგანი მიიჩნევს, რომ იარაღის ლეგალიზების პოლიტიკას, გარკვეულწილად, პოლიტიკური რეჟიმი განსაზღვრავს.

იარაღის ლეგალიზებასთან დაკავშირებით საქართველოს არსებულ კანონმდებლობაზე საუბრისას, ჩემი რესპოდენტი კვლავ ძალადობის მონოპოლიას ახსენებს, რომელიც რიგი მიზეზებით არის განპირობებული, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანი შეიძლება იყოს ისტორიული გარემოებანი, რომლებიც დაკავშირებულია 1990-იანი წლების საქართველოში არსებულ არაკანონიერ იარაღთან (სატელეფონო ინტერვიუ, 02.05.2024). მისგან განსხვავებულ აზრს ანვითარებს პარტია „გირჩის“ წარმომადგენელი, რომელიც აღნიშნავს, რომ ისტორიული მეხსიერება საქართველოში გაწყვეტილია და დაწყებულია მიმბაძველობითი პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც როგორც საზოგადოებრივ, ასევე საკანონმდებლო დონეზე განხილვისა და დებატების გარეშე საქართველო იღებს ყველა იმ მოცემულობას და კანონმდებლობას, რომელიც დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში არსებობს. ამასთანავე ჩემი რესპონდენტის მოსაზრებით საქართველოში არსებული კანონმდებლობა იარაღის ლეგალიზებასთან დაკავშირებით ასევე ხელისუფლების შიშით არის განპირობებული იმდენად, რამდენადაც მას მაგალითად მოჰყავს მასაჩუსეტსის საპროტესტო აქციები, სადაც ხელისუფლებამ იცის, რომ ყოველი მათგანი შეიარაღებულია და პრობლემის გადაჭრისათვის ყველაზე ცივილურ გზას არჩევენ. ხოლო საქართველოში მანამ, სანამ არც ერთი მოქალაქე კანონიერად შეიარაღებული არ არის, ხელისუფლებას აქვს შესაძლებლობა და ძალაუფლება, რომ წყლის ჭავლით თუ რეზინის ტყვიით „მოაგვაროს“ პრობლემა, რომლის საშუალებითაც მას გარანტირებული აქვს სტაბილურობა და ძალაუფლება დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებისა (სატელეფონო ინტერვიუ, 1.05.2023).

როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა, საქართველოს შემთხვევაში იარაღის ლეგალიზების კრიმინალიზაცია/დეკრიმინალიზაციის პოლიტიკა დაკავშირებულია ქვეყანაში არსებული ხელისუფლების სტაბილურობასთან და ისტორიულ საფუძვლებთან იმდენად, რამდენადაც საქართველო ახალდემოკრატიული ქვეყანაა, ნაკლოვანი დემოკრატიითა და სუსტი ავტოკრატიის ნიშნებით, სადაც საზოგადოებას ჯერჯერობით არ აქვს გათვითცნობიერებული საკუთარი უფლებამოსილებანი. ხოლო

მსოფლიო პრაქტიკა იარაღის ლეგალიზებასთან დაკავშირებით, უმეტესწილად, განპირობებულია ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სისტემისა და რეჟიმის ხასიათით

დასკვნა

იარაღის ლეგალიზების პოლიტიკა, განსხვავებით სხვა სოციო-კულტურული თუ პოლიტიკური საკითხებისაგან, მსოფლიოს დღის წესრიგში მუდმივად არ დგას, არამედ მისი აქტუალურობა სახელმწიფოებში დროებითი და მყისიერია. მიუხედავად ამისა, იარაღის ლეგალიზების პოლიტიკა მეტად სახასიათოა თითოეული ქვეყნისათვის და ურთიერთდამოკიდებულებაშია სახელმწიფოში არსებულ რეჟიმთან. შესაბამისად, ვფიქრობ, მოცემული საკითხის კვლევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც შესაძლებლობა გვეძლევა დავინახოთ ურთიერთდამოკიდებულება იარაღის ლეგალიზების პოლიტიკასა და სახელმწიფოში არსებულ რეჟიმს შორის. კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმ ძირითადი კრიტერიუმების გამოვლენა, რომლებიც განსაზღვრავს ამა თუ იმ სახელმწიფოში იარაღის დეკრიმინალიზაცია/კრიმინალიზაციის პოლიტიკას. დასახული მიზნის განსახორციელებლად კვლევის პროცესში ჩატარებულ იქნა ინტერვიუები, რომელთან ერთადაც ჩემ მიერ შექმნილი ინდექსის თუ არსებული სამეცნიერი ნაშორმებისა და სტატიების გაანალიზებითა და შესწავლით დადგინდა, რომ პოლიტიკური რეჟიმის ხასიათის დასადგენად და შესასწავლად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი არის იარაღის ლეგალიზების პოლიტიკა.

საქართველოში, რომელიც გეოპოლიტიკურად კონფლიქტურ და მუდმივად ცხელ ზონაში იმყოფება (Seskuria, 2021), ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობს სამართლებრივი თუ სოციალური დავა იარაღის ლეგალიზების კანონმდებლობის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად აღნიშნულ ქვეყანაში ლეგალიზებულია გარკვეული სახისა და ტიპის იარაღის შეძენა თუ შენახვა (საქართველოს კონსტიტუცია, 2017). აღსანიშნავია, რომ ჩემი დაშვება, რომელიც ეხება საქართველოში არსებული კანონმდებლობის ლიბერალურობასა და რეგულაციების ნაკლებობას, გამართლებულია იმდენად, რამდენადაც მსოფლიოში არსებული მსგავსი კანონმდებლობების შედარებითი ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ საქართველოში გაცილებით მეტი რაოდენობისა და სახეობის იარაღის შეძენა/შენახვა არის ლეგალიზებული. ამასთანავე, კვლევის პროცესში, გარკვეულწილად, დადასტურდა დაშვება მსოფლიო პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც იარაღის დეკრიმინალიზაცია/კრიმინალიზაციის პოლიტიკას,

მეტწილად, განსაზღვრავს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმი იმდენად, რამდენადაც, კვლევისას განსაკუთრებით გამოიკვეთა ტენდენცია მონარქიული და ავტორიტარული ქვეყნების დამოკიდებულებისა იარაღის ლეგალიზებასთან დაკავშირებით, სადაც ყველაზე მეტად არის შეზღუდული იარაღის ტარება, შეძენა თუ შენახვა. დემოკრატიული ქვეყნების შემთხვევები კი მეტად კომპლექსურ და ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებდა იმდენად, რამდენადაც არაერთი მიზეზი იქნა გამოხატული იარაღის დეკრიმინალიზაციის/კრიმინალიზაციისა, როგორიც შეიძლება იყოს, ეკონომიკური ფაქტორები, როგორც ეს აშშ-ში NRA-ს შემთხვევაში გამოიკვეთა, ისტორიული, როგორც შვეიცარიაში და სოციო-კულტურული, როგორც ეს პოლონეთის თუ სლოვაკეთის შემთხვევაშია.

კვლევის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს მინიმალისტური სახელმწიფოს მოდელის ჩარჩო, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოსათვის დაწესებულ ბარიერს, მინიმალურად ჩაერიოს ადამიანის პირად თუ საზოგადო ცხოვრებაში და უფლება მისცეს ბაზარს იყოს თვითრეგულირებადი და თვითგანვითარებადი. მოცემული თეორიას ყველაზე თვალსაჩინოდ ამერიკის შეერთებული შტატები ერგება იმდენად, რამდენადაც ნეოლიბერალურ, თავისუფალ ბაზარზე დაფუძნებულ სახელმწიფოს წარმოადგენს, სადაც ხელისუფლების ინტერვენციის უფლება მინიმუმამდეა დაყვანილი, რაც, შესაბამისად, გამოიხატება ისეთ ფუნდამენტურ უფლებაში, როგორიც არის იარაღის ტარების უფლება. მსოფლიო პრაქტიკაში კი ზემოაღნიშნული ბარიერი იზრდება ან მცირდება პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო ინდიკატორსაც წარმოადგენს იარაღის ლეგალიზების პოლიტიკა.

იარაღის ლეგალიზების პოლიტიკა მეტად კომპლექსურ, დარგთაშორის სფეროს წარმოადგენს, რომლის შესწავლა და გაანალიზებაც იძლევა პასუხს ისეთ კითხვებზე, როგორიც შეიძლება იყოს- როგორი პოლიტიკური რეჟიმი არსებობს ქვეყანაში? როგორი დამოკიდებულება აქვს სახელმწიფოს მოქალაქის მიმართ? როგორი იდეოლოგიის მატარებელია საზოგადოება თუ სახელმწიფო? სიღრმისეული შესწავლით, შესაძლებელია, დროთა განმავლობაში, თავისუფლებისა და დემოკრატიის ხარისხთან ერთად იარაღის ლეგალიზების ხარისხის გაგებით გაკეთდეს დასკვნები კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკურ რეჟიმთან დაკავშირებით. საბოლოოდ კი შეიძლება ითქვას, რომ

სახელმწიფოები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სახელმწიფოს ფუნქცია/მოვალეობების აღქმით, რომელთა ერთ-ერთი საუკეთესო განმსაზღვრელი ფაქტორი არის იარაღის ლეგალიზების პოლიტიკა იმდენად, რამდენადაც სწორედ აღნიშნული წარმოაჩენს თვალსაჩინოდ სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის არსებულ მიჯნას, სახელმწიფოსათვის და სახელმწიფოს მიერვე დაწესებულ ლიმიტს მოქალაქის პირად სივრცეში ინტერვენციისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერლინი, ი. (1958). თავისუფლების ორი გაგება. ოქსფორდის უნივერსიტეტი

დალი, რ. (1961). ვინ მართავს? დემოკრატია და ძალაუფლება ამერიკულ ქალაქებში. ნიუ-იორკი

ლოკი, ჯ. (1689). მმართველობის ორი ტრაქტატი. ინგლისი

პატნემი, რ. (2000). მარტო კაცი სუფრასთან: ამერიკული საზოგადოების ნგრევა და აღორძინება. ამერიკის შეერთებული შტატები

ფრიდმანი, მ. (1962). კაპიტალიზმი და თავისუფლება

ხვიჩია, ი. (2023). საჭიროა მოსახლეობას იარაღის ტარების უფლება ჰქონდეს. Fortuna.ge Retrieved April 8, 2023 from- https://fortuna.ge/fortuna/post/khvichia-sachiroa-mosakhleobas-iaraghis-tarebis-ufleba-hqondes-shansi-unda-mivcet-adamianebs-sheiaraghebuli-modzaladeebisgan-tavi-daicvan

ჰაიეკი, ფ. (1960). თავისუფლების კონსტიტუცია. ინგლისი

Aleyev, Y. (2018). gun culture in Russia: how does it compare to USA? RBTH.com . https://www.rbth.com/lifestyle/328459-gun-culture-in-russia-and-us

Albert, E., & Maizland, L. (2022). The Chinese communist party. Council on foreigh relations. Cfr.org https://www.cfr.org/backgrounder/chinese-communist-party

Bender, M.C. (2022). after EL Paso shooting, Trump pushed again on gun control. His aides talked him out of it. New-York times magazine. https://www.nytimes.com/2022/05/27/us/trump-gun-control.html

Bokatik, A. (2016). Kazakhstan strengthens restrictions on gun ownership. Central.asia-news.com https://central.asia-news.com/en_GB/articles/cnmi_ca/features/2016/08/25/feature-01

Cirilli, K. (2013). Sheriff: skip 911, defend yourself. Politico.com https://www.politico.com/story/2013/01/sheriff-david-clarke-jr-skip-911-defend-yourself-086801

Calamur, K. (2018). The Swiss have liberal gun laws, too. The Athlantic News. https://www.theatlantic.com/international/archive/2018/02/swiss-guns/553448/

CTK (2018). the right to bear arms in self-defense is embedded in Czech constitution. Exspats.cz. https://www.expats.cz/czech-news/article/right-to-arms-embedded-in-czech-consitution#:~:text=Prague%2C%20July%2021%20%28CTK%29%20-%20The%20Senate%2C%20the,EU%27s%20pro-regulatory%20stance%20on%20firearms%20acquisition%20and%20possession.

Couture, E. (2018). Italy loosens their gun laws, legalizes AR-15 Rifles. Libertyhangout.org https://libertyhangout.org/2018/11/italy-loosens-gun-laws-legalizes-ar-15-rifles/

Deepanshu, M. (2022). US gun ownership, violence are the result of an economy aimed at maximizing self-interest. Scroll.in magazine. https://scroll.in/article/1025853/us-gun-ownership-violence-are-the-result-of-an-economy-aimed-at-maximising-self-interest

Dedman, M. (2010). The origins and development of the europian union. USA

Espasito, L. (2014) Beyond Gun Control: Examining Neoliberalism, Pro-gun Politics and Gun Violence in the United States. Barry University

Freedom house. Countries and Territories

Gregory, A. (2013). The Panthers Were Right and Reagan Was Wrong on Gun Control. Independent institute. https://blog.independent.org/2013/09/18/the-panthers-were-right-and-reagan-was-wrong-on-gun-control/

Guzman, Ch.D. (2022). One Surprising Theory Why the Philippines Has Very Few Mass Shootings—Despite Easy Access to Lots of Guns. Times magazine. Time.com. https://time.com/6186982/philippines-guns-mass-shootings/

Lebovic, S. (2020). Why is America the world's police? Bostonreview.net https://www.bostonreview.net/articles/sam-lebovic-stephen-wertheim-tomorrow-the-world/

Hurka, S. (2017). Rampage Shootings and Gun Control - Politicization and Policy Change in Western Europe

International firearm injury prevention and policy. GunPolicy.org

Knight, B. (2022). Gun control and firearms possession in Germany. Dw.com https://www.dw.com/en/gun-control-and-firearms-possession-in-germany/a-52450664

Kolesnikov, A. (2022). Putin's war has moved Russia from authoritarianism to Hybrid totalitarianism. Carnegie endowment for international peace. Carnegieendowment.org . https://carnegieendowment.org/2022/04/19/putin-s-war-has-moved-russia-from-authoritarianism-to-hybrid-totalitarianism-pub-86921

Kelly, L. (2022). Congress aims to label Russia 'Agressor State' instead of state sponsor of terrorism. Thehill.com https://thehill.com/policy/international/3782940-congress-aims-to-label-russia-aggressor-state-instead-of-state-sponsor-of-terrorism/

McCarthy, E. (1999). Gun laws in Switzerland. OLR Research Report. https://www.cga.ct.gov/PS99/rpt/olr/htm/99-R-0845.htm

Milani, A.(2015). The authoritarian resurgence: Iran's paradoxical regime. Journal of democracy. https://www.journalofdemocracy.org/articles/the-authoritarian-resurgence-irans-paradoxical-regime/

Neubauer, S. (2023). What is conservatism in Norway?. Man&culture Magazine. https://manandculture.com/2023/01/what-is-conservatism-in-norway/

Nozick, R. (1974). Anarchy, State and Utopia. New-york

Pas, N. (2011). The state of the right: The Netherlands. Foundation pour l'innovation politique. Fondapol.org . https://www.fondapol.org/en/study/the-state-of-the-right-the-netherlands/

Riedel, B. (2013). Lessons from America's First war with Iran. Brookings.edu . https://www.brookings.edu/articles/lessons-from-americas-first-war-with-iran/#:~:text=In%20fact%2C%20the%20UN%20did%20not%20even%20discuss,U.S.%20hostages%20held%20by%20pro-Iranian%20terrorists%20in%20Lebanon.

Skopeliti, C. (2021). What are the rules on firearms licences in the UK?. Theguardian.com . https://www.theguardian.com/uk-news/2021/aug/13/what-are-rules-firearms-licences-uk

Shandilya, A. (2022). Russia Attacks Ukraine: Start Of World War 3? How The Conflict Will Affect World Asversely. Republicworld.com https://www.republicworld.com/world-news/russia-ukraine-crisis/russia-attacks-ukraine-start-of-world-war-3-how-the-conflict-will-affect-world-adversely-articleshow.html

Schroeder, K. (2021). what is gun control and how do countries compare? Global.chinadaily.com.cn . https://global.chinadaily.com.cn/a/202104/27/WS608776faa31024ad0babaa86.html

Sibley, C., & Wilson, M. (2007). Political attitudes and the ideology of equality: differentiating support for liberal and conservative political parties in New Zealand. New Zealand Journal of Psychology. https://www.psychology.org.nz/journal-archive/NZJP36-2_SibleyWilson72.pdf

Seskuria, N. (2021). Russia's 'Hybrid agression' against Georgia: The use of local and external use. CSIS https://www.csis.org/analysis/russias-hybrid-aggression-against-georgia-use-local-and-external-tools

Tollast R. (2022). Kurdish region of Iraq bans gun sales after deadly shootings. Thenationalnews.com . https://www.thenationalnews.com/mena/2022/06/30/kurdish-region-of-iraq-bans-gun-sales-after-two-professors-shot-dead/

Thorhallsson, B. (2012). Small states in the UN security council: Means of influence? The Hague journal of diplomacy. https://brill.com/view/journals/hjd/7/2/article-p135_1.xml?language=en

The Britannica Dictionary. https://www.britannica.com/dictionary/liberal?fbclid=IwAR03IFez7EKqWIIP-YknujxY7irYUO8PI0BlGduJAz-Vk8aSYcCx83I1tYg

The Constitution of the United States. (1791)

Velasco, M. (2015). Ownership of firearms in Spain. Velasco lawyers. https://www.velascolawyers.com/en/civil-law/ownership-of-firearms-in-spain.html

Weiss, M. The cold war's legacies in Malaysia. Kyotoreview.org . https://kyotoreview.org/issue-26/the-cold-wars-legacies-in-malaysia/#:~:text=Overall%2C%20Malaysia%20did%20experience%20a%20genuine%2C%20and%20genuinely,for%20countering%20violent%20extremism%20among%20security%20forces%20today.

დანართი N1

ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევი პარტია „გირჩის“ წევრთათვის

1. რა გადაკვეთის წერტილი შეიძლება ჰქონდეთ იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც მკაცრი კანონი აქვთ იარაღის ლეგალიზებასთან დაკავშირებით. მაგალითად თუ შეიძლება მიჩნეული იყოს, რომ რეჟიმებიდან გამომდინარე, შეიძლება შიშია იმის, რომ დაუმორჩილებლობას შეიძლება ჰქონდეს ადგილი?

2. დანაშაულის მაჩვენებელთან რა მიმართება აქვს იარაღის ლეგალიზაციას?

3. თქვენი აზრით, ეკონომიკური თვალსაზრისით, რა კავშირში არიან ის ქვეყნები, რომლებსაც იარაღი ლეგალიზებული აქვთ, თუ არის რაიმე გადაკვეთის წერტილი ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობასა და იარაღის ლეგალიზებას შორის?

4. საქართველოს შემთხვევაში, არსებული კანონმდებლობა იარაღის ლეგალიზებასთან დაკავშირებით, თქვენი აზრით რითია განპირობებული, პოლიტიკური რეჟიმით, ეკონომიკური მდგომარეობით თუ დანაშაულებების თავიდან აცილებით?

5. სხვა ქვეყანაში რომ გეცხოვრათ, იქაც მოითხოვდით იარაღის ლეგალიზებას? ანუ ფიქრობთ, რომ ყველა ქვეყანაში აუცილებელია, რომ იარაღი იყოს ლეგალური, თუ კონკრეტულად საქართველოში არსებობს ამის საჭიროება?

6. თუ არის იმის მაგალითი მსოფლიოში, რომ იარაღის ლეგალიზებამ წინასწარ განსაზღვრული შედეგები არ მოიტანა და უკან გაიწვიეს კანონი, ან პირიქით-გახდა საჭიროება იარაღის ლეგალიზებისა?

7. ისეთ ქვეყნებში, როგორიც მაგალითად ფილიპინებია, სადაც იარაღის ტარებაც ლეგალურია, მთავარია აღემატებოდე 21 წელს და არ იყო ალკო და ნარკო დამოკიდებული, მაინც ქვეყანაში არსებული იარაღის უმეტესი წილი არალეგალურად არის შემოტანილი და ექსპლუატაციაშია, თქვენი აზრით რა არის ამის მიზეზი?

დანართი N2

ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევი დარგის ექსპერტისთვის

1. რა გადაკვეთის წერტილი შეიძლება ჰქონდეთ იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც მკაცრი კანონი აქვთ იარაღის ლეგალიზებასთან დაკავშირებით. მაგალითად

თუ შეიძლება მიჩნეული იყოს, რომ რეჟიმებიდან გამომდინარე, შეიძლება შიშია იმის, რომ დაუმორჩილებლობას შეიძლება ჰქონდეს ადგილი?

2. თქვენი აზრით, ეკონომიკური თვალსაზრისით, რა კავშირში არიან ის ქვეყნები, რომლებსაც იარაღი ლეგალიზებული აქვთ, თუ არის რაიმე გადაკვეთის წერტილი ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობასა და იარაღის ლეგალიზებას შორის?

3. რა პრინციპით არის აგებული საქართველოში არსებული კანონმდებლობა იარაღის ლეგალიზებასთან დაკავშირებით?

4. თუ შეიძლება იქნეს მიჩნეული იარაღის ლეგალიზების პოლიტიკის გამოყენება სახელმწიფოს მხრიდან ძალაუფლების გაზრდის ან შენარჩუნების მიზნით?